ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 138 (12 514) 13 ივნისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

დარჩა 56 დღე





ჩივაძემ რუსებს დაცვა დაუწუნა

ევრო 2008

»»» 5

ჩასემი და გოიომო ზესტაფონში ითამაშებენ

ქართული ფეხბურთი

»»» 2-5

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

დღეს

C ჯგუფი

ციურიხი

იტალია-რუმინეთი 20:00

C ჯგუფი

ბერნი

ჰოლანდია-საფრანგეთი 22:45

## ფილი, ფული და აბრამოვიჩი



»»» 10

# ხორვატიული სასწაული გრძელდება



პირველი გოლი გერმანიის ნაკრების კარში

»»» 9

# ვინ მოკვდება სიკვდილის ჯგუფში?



დე როსი ძირითადში იქნება



ტიერი ანრი სათამაშოდ მზადაა

C ჯგუფი. წინასამატჩო ამბები »»» 6-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# გიორგი სეთურიძე: იენიდან ფიურტში?

მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნილი "კარლ ცაისი" სამივე ქართველმა დატოვა. **ილია კანდელაკმა** უკვე ავსტრიის "შტურმთან" კონტრაქტი გააფორმა.

ახალი კლუბების ძიებაში არიან **გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძეც**. როგორც შევიტყვეთ, სეთურიძეს მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი აქვს. მისით "ფიურტია" დაინტერესებულია და 21 ივნისიდან გასინჯვაზე უნდა წავიდეს. ამას გარდა, სეთურიძეს მოლაპარაკება მეორე ბუნდესლიგის კიდევ ორ კლუბთან აქვს დაწყებული.

რაც შეეხება გიორგი ონიანს, გავრცელებული ხმებით, ის რუსეთის პირველი ლიგის "ანჟიში" გადადიოდა, თუმცა გიორგიმ ჩვენთან საუბარში ეს ხმები უარყო. როგორც გაირკვა, ის ახლა რამდენიმე კლუბის პასუხს ელის და მერე გადაწყვეტს, სად ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი სეთურიძე

# კოტორაშვილის ფოტომატიანე საუკუნიდან საუკუნეში



ალექსანდრე კოტორაშვილი

სპორტის ისტორიას, სპორტსმენები, მწვრთნელები, გულშემატკივრები, მსაჯები და თუნდაც მხოლოდ ჟურნალისტები როდი ქმნიან. დოკუმენტურ მასალას ვიზუალური გამოსახულების გარეშე ფასი ან საერთოდ არ აქვს, ანაც ეკარგება. შესაბამისად, ფოტოკორესპონდენტების წვლილიც დიდია. ამ საქმის ერთ-ერთი ამაგდარი დღესაც ჩვენს გვერდით ცხოვრობს. **ალექსანდრე კოტორაშვილის** წარსულისა და სტაჟის ფოტოკორესპონდენტი დღეისათვის ჩვენში იშვიათად თუ მოიძებნება. მისი ღვაწლის დასტურად კი ამ დღეებში გამოცემული მორიგი ალომიც გამოდგება. ალბომში არაერთისაინტერესო ფოტოა შესული. აღსანიშნავი, ფოტომატიანე საუკუნიდან საუკუნეში გადადის და 31 წელს მოიცავს. კერძოდ, პირველი ფოტო 1965 წელსაა გადაღებული. ბოლო 2006 წლითაა დათარიღებული.

ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, კრივი, ჭიდაობა, წყალში ხტომა, ცხენოსნობა, ველოსპორტი, ძალოსნობა... ალბომში თითქმის სპორტის ყველა სახეობაა თავმოყრილი. ფოტოები კი საქართველოს გარდა, ოლიმპიადებზე, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებშია გადაღებული. ალექსანდრე კოტორაშვილის ამ ალბომის შესახებ მის ავტორზე **პაატა ნაცვლიშვილი** წინასიტყვაობაში სიტყვაუხვად მოგვითხრობს...

ალექსანდრე კოტორაშვილი კვლავაც აგრძელებს პროფესიულ საქმიანობას და 2006 წლიდან შემდგომ წლებში გადაღებულ მის იშვიათ ფოტოებს უკვე მომდევნო ალბომში ვიხილავთ. ასე რომ, მიდი "კოტორ," შეუბერე...

**დავით ცაბაძე**

სტაჟირებაზე არგენტინაში

## თქვენ დელგადო გიწვევთ!

ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** იწვევს 17-18 წლის ასაკის, პერსპექტიულ ფეხბურთელებს: ორ მეკარეს, ორ თავდამსხმელს, მარჯვენა და მარცხენა მცველსა და ნახევარმცველს სტაჟირებაზე 1-2 წლით არგენტინაში.

ფეხბურთელები სათანადო დონეზე მომზადების შემდეგ, დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში. მომზადების პროცესში შედის ამხანაგური მატჩები არგენტინის კლუბებთან.

სტაჟირების, აგრეთვე სხვა ხარჯებს გაიღებენ მსურველები ან მათი სპონსორები.

30 ივნისამდე, გამგზავრებამდე მსურველებს გაკვეთილები ჩაუტარდებათ ესპანურ ენაში. გასაუბრება და დაწვრილებითი ცნობები10 ივნისიდან ყოველდღე, კვირის გარდა.

*ლეონიძის (ყოფილი კიროვის) ქუჩა №4 (თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე) 12-დან 14სთ-მდე. ტელეფონი: 8 99 23 55 20*

ქართულ-არგენტინული
საფეხბურთო კლუბი GEHARG-ის წარმომადგენლობა საქართველოში

შენ რას ფიქრობ, კოლეგა. ევრო 2008

# ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისის გარეშეა

## ჰოლანდია ჩემპიონობის ღირსია

**მაშ ასე, ვაგრძელებთ რუბრიკას და ვნახოთ რას ფიქრობენ სპორტზე მომუშავე ქართველი ჟურნალისტები ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით. სხვათა შორის, როგორც ამ რუბრიკის წინა ორ ნაწილში, მასმედიელთა პოზიცია ამჯერადაც მრავალფეროვანია. ამასთან, მათ სიტყვებში ბევრ საინტერესო სიახლეს შენიშნავთ.**

**1. რით განსხვავდება ევრო 2008, კონტინენტის წინა ჩემპიონატებისგან?**

**2. ბომბარდირობაზე რომელი სამი ფეხბურთელია თქვენი ფავორიტი?**

**3. გამარჯვებულის ან საბოლოო ოთხეულის თქვენეული პროგნოზი...**

**ლევან სალუქვაძე**
(ტელეკომპანია "იმედი"):

1. რაიმე მკვეთრი განსხვავება ჯერ-ჯერობით არ ჩანს. თუმცა ყველა საფეხბურთო ფორუმი საკუთარი ხელწერით გამოირჩევა და ეს თანდათანობით უფრო გამოჩნდება.

2. უპირველესად რუუდ ვან ნისტელროის დავასახელებდი. მერე კი დავიდ ვილიასა და ლუკას პოდოლსკის.

3. ჰოლანდიამ სასტარტო მატჩში იმ დონის ფეხბურთი აჩვენა, რომ სხვებისგან აშკარად განსხვავდება და ჩემპიონობასაც იმსახურებს. მომდევნო სამეულში კი ესპანეთს, პორტუგალიასა და ხორვატიას დავასახელებდი.

**ჯემალ ფარცახაშვილი**
(სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"):

1. მსაჯობის დონე აშკარად უკეთესია. თუ ადრე მსაჯებს ჩემპიონატის მასპინძელთა მიმართ გარკვეული სიმპათიები ჰქონდათ და ეს ნათლადაც ჩანდა, ამჯერად მსგავსი რამ არ შეინიშნება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ევრო 2008-ის ერთ-ერთი თანამასპინძელ შვეიცარიის ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსები უკვე აღარ აქვს. სწორედ ამ თემას მიეძღვნა პიერ ლუიჯი კოლინას ინტერვიუც. კოლინამ აღნიშნა, ევრო 2008-ის მსაჯობით კმაყოფილია, აშკარად ჩანს, რომ არბიტრები მასპინძლებისადმი სიმპათიების კომპლექსისგან თავისუფლები არიანო.

ამას გარდა, აშკარაა და ყველა ხედავს, რომ ჩემპიონატის მონაწილეები უფრო მობილურ ფეხბურთს თამაშობენ, გაცილებით მეტს მოძრაობენ. თითქმის გათანაბრდა გუნდების დონე და გადაჭრით ვერცერთი მეტოქე იტყვის, რომ ამა თუ იმ გუნდს უცილობლად მოუგებს. შვედეთსაც შეუძლია გაჩემპიონება, ხორვატიასაც და სხვებსაც. აშკარად ჩანს ისიც, რომ გუნდები კლასის ხარჯზე იგებენ თამაშებს. პორტუგალიამ სწორედ კლასით მოუგო ჩეხეთს. არადა, ჩეხეთმა პორტუგალიელებთან ბევრად უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველ მატჩში თურქეთთან. ასევე, გერმანიამ კლასის ხარჯზე მოუგო პოლონეთს.

2. დავიდ ვილია და ლუკას პოდოლსკი რომ არ ვთქვა არ შეიძლება. ვფიქრობ, ფერნანდო ტორესი მოუმატებს და მესამე ფავორიტად ამ ფეხბურთელს დავასახელებდი.

3. პორტუგალია, ჰოლანდია, ესპანეთი და გერმანია.

**ნინო გაბელია**
(საზოგადოებრივი მაუწყებელი):

1. აშკარად ჩანს, რომ ფავორიტებს, ტიტულოვან გუნდებს იტალიას, საფრანგეთს... არცთუ ისე ტიტულოვანმა ნაკრებებმა ტოლი არაფრში დაუდეს. ასეთმა გუნდებმა საინტერესო თამაშები აჩვენეს. თუნდაც იმავე შვეიცარიამ და ავსტრიამ... ეს ჩემპიონატი კიდევ იმით დამამახსოვრდა, რომ იტალიამ პირველ ტურში საშინელი თამაში აჩვენა. მართალია, იტალიას ვგულშემატკივრობ, მაგრამ ობიექტური არ ვიქნები, ჰოლანდიის ჩინებული თამაში რომ არ ავღნიშნო. ჰოლანდიელებმა მართლაც ტოტალური ფეხბურთი აჩვენეს და ჩემპიონატის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

2. გამორიცხულია, უბადლო კრიშტიანუ რონალდუ რომ არ დავასახელო. კარგი იყო ლუკას პოდოლსკი. ასევე ნათლად ჩანს, რომ რუუდ ვან ნისტელროი ჩინებული ფეხბურთელია.

3. ჩემზე ჰოლანდიამ ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და, როგორც გითხარით, მიუხედავად იმისა, რომ იტალიას ვგულშემატკივრობ, ვფიქრობ, ჰოლანდია ჩემპიონობის ღირსია. საუკეთესო სამი გუნდი კი ალბათ პორტუგალია, გერმანია და იტალია იქნება.

**ნანა ჩოკორაია**
(სამაუწყებლო კომპანია "მზე"):

1. უმთავრესი სხვაობა ისაა, რომ ამ ჩემპიონატზე ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისი ნაკრებს ვერ ვხედავთ. ისინი ევრო 2008-ის მიღმა ხორვატებმა დატოვეს. ხორვატიის ნაკრების ძალა კი გუშინ, გერმანიასთან შეხვედრაშიც გამოჩნდა.

კიდევ ერთს ვიტყოდი. ვფიქრობ, არბიტრებმა 2-3 შეცდომა მაინც დაუშვეს. მსაჯობა იმ დონის არაა, რასაც მოველოდი.

2. დავით ვილიასა და ლუკას პოდოლსკის გამორიცხვა ალბათ არ იქნება მართალი. მესამე რჩეულად კი ჰოლანდიელ ვესლი სნეიდერს დავასახელებდი.

3. გერმანია, პორტუგალია, ჰოლანდია და ხორვატია.

**დავით ცაბაძე**



კოლეგების აზრით, პოდოლსკი (ბურთით) ერთ-ერთი გამორჩეულია, ხორვატიამ კი საკუთარი ძალა ყველას დაანახა

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ზესტაფონში სიონელები დაიმატეს

## ბრაზილიელები აღარ დაბრუნდებიან?



ბოიომო ფრიდოლინი



ერიკ რომეო ჩასემი

ევროთასების დაწყებამდე "ზესტაფონი" საკმაოდ გაძლიერდა: გუშინ ბოლნისის "სიონის" კამერუნელმა ფეხბურთელებმა, მცველმა **ბოიომო ფრიდოლინმა** და ფორვარდმა **ერიკ რომეო ჩასემმა** იმერულ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტები გააფორმეს.

კლუბმა სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპი ბაკურიანში დაასრულა, მეორე შეკრება კი 14 ივნისს ურეკში დაიწყება.

კლუბი გაბონელმა მცველმა **ერნესტ აკუასაგამ** დატოვა. ჯერ კიდევ არ ჩამოსულან ბრაზილიელები - მცველი **ედსონ სანტოსი** და ნახევარმცველი **ჟონატას ტორესი**, აგრეთვე გაბონელი თავდამსხმელი **ეტიენ ბიტოო**.

სამაგიეროდ, უკვე კლუბთან ერთად ვარჯიშობს ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟილვან ვიეირა**. დიდი შანსია, რომ სანტოსი, ჟონატასი და ბიტოო კლუბში არც დარჩნენ. ბიტოომ თავი ვერ გამოიჩინა, "ზესტაფონმა" ჩასემის სახით სერიოზული ფეხბურთელი დაიმატა და მასზე უარი რომ თქვას, ლოგიკური იქნება.

კლუბთან კონტრაქტები უმთავრდებათ ნახევარმცველებს, **გიორგი ხიდეშელსა** და **კოტე დაუშვილს**. მათი საკითხიც წყდება.

კლუბი უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის ინფრასტრუქტურასაც ამზადებს. ზესტაფონის სტადიონზე რეკონსტრუქცია 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

**მერაბ მამულაშვილი**







ზესტაფონის სტადიონზე დიდი სამუშაოები მიმდინარეობს

www.fczestafoni.ge

ლეგიონერი

# ბურდულის შტურმში?

## კანდელაკი დებიუტის მოლოდინში



ავსტრიული "შტურმი", შესაძლოა, ქართველების ახალ ბუდედ იქცეს. გუნდში ფეხი მოიკიდა მცველმა **გიორგი შაშიაშვილმა**, ახლახან გრაცის კლუბში იენის "კარლ ცაისიდან" **ილია კანდელაკი** დაიმატეს.

ინტერნეტ-პორტალ "ცისოკერის" რედაქტორმა **მირონ გოიხმანმა** გუშინ წამოწია **ლადო ბურდულის** შესაძლო ტრანსფერის საკითხი ავსტრიულ "შტურმში". პირველად ამაზე დაახლოებით სამი კვირის წინათ ითქვა, მაგრამ მერე რატომღაც საკითხი მიწყნარდა, ახლა კი... გოიხმანის ინფორმაციით, ბურდული უნდა გასინჯონ. "შტურმი" საქართველოს ნაკრებში გამოცდილება მიღებული **გიორგი მაკარიძის** დამატებაზეც ფიქრობდა, მაგრამ ეს ტრანსფერი გამოირიცხა, ისევე როგორც სანდრო იაშვილის გადასვლა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, "შტურმში" სანდრო იაშვილის შეძენის შესაძლებლობას ჯერ კიდევ განიხილავენ.

ამასობაში "შტურმი" უკვე შეუდგა მომავალი სეზონისთვის სამზადისს. გრაცელები ტესტმატჩში ობერლიგურ "ფელდბახს" გაეჯიბრნენ და მეტოქე 4:0 გაანადგურეს. გიორგი შაშიაშვილმა მეორე ტაიმი სრულად ჩაატარა, საგოლე კომბინაციებში ქართველ მცველს მონაწილეობა არ მიუღია. ჯერჯერობით, "შტურმის" შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრა არ ჩაუტარებია ილია კანდელაკს, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ავსტრიულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ გიორგი შაშიაშვილთან

# შაშიაშვილი ფინალის ბილეთს ელის, შტურმი კი ახალ ფრაიბურგს

გრაცის "შტურმის" მცველ გიორგი შაშიაშვილს ავსტრიაში მაშინ შევეხმიანეთ, როცა ავსტრია-პოლონეთის პირველი ტაიმი ახალი დაწყებული იყო. შაშიაშვილს მეტწილად ევროპის ჩემპიონატზე ვესაუბრეთ და სხვაზეც ვკითხეთ.

**- ავსტრიაში ახლა ალბათ ძალინ სასიამოვნო სიტუაციაა მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის ნაკრებს საქმეები კარგად არ მისდის...**

- კი, მაგრამ თუ ავსტრიამ დღესაც წააგო, შესაძლოა, გულშემატკივრებმა ყველაფერი დალეწონ. ისე კი, აქ მართლაც დიდი ზეიმია. რომელი ნაკრებიც მოიგებს, იმ დღეს მისი გულშემატკივრები ქუჩაში გამოდიან და მაგრად ხალისობენ. დროშები, ეროვნული გუნდის ფერებში მოხატული სახეები, ხმაური და გართობა – ასეთი ტურისტები გრაცშიც ბევრია. თურქეთმა შვეიცარიას რომ მოუგო, გრაცში დიდი ზეიმი გაიმართა - აქ თურქები ბლომად ცხოვრობენ და უნდა გენახათ, რა დღეში იყვნენ.

**- სანამ ისევ ევროპის ჩემპიონატზე ვისაუბრებდეთ, ჯერ ის გვითხარი, ილია კანდელაკის გარდა კიდევ ხომ არ აპირებს "შტურმი" ქართველების აყვანას? ლაპარაკი იყო სანდრო იაშვილის და ბურდულის ტრანსფერზე...**

- იაშვილის "შტურმში" მოსვლა ალბათ არ გამოვა, რაც შეეხება ბურდულს, მისი თამაში ვიდეოზე ნახა ჩვენმა მწვრთნელმა, თუმცა საქმე ამის იქით ჯერ არ წასულა, კლუბის ბიუჯეტი ჯერ სრულად არ არის შედგენილი დამდეგი სეზონისთვის.

**- ანუ ამ ეტაპზე კანდელაკის გარდა "შტურმში" კიდევ რომელიმე ჩვენებურის ჩარიცხვა გამოირიცხა?**

- მთლად ასეც არ ვიტყოდი, "შტურმის" მწვრთნელმა ფოდამ მითხრა, "შტურმი" შესაძლოა "ფრაიბურგივით" ავაწყო, ვინც კი აქ ქართველი მოვიდა, ყველამ გაამართლაო. ფოდას უფრო გამოცდილი ქართველი ფეხბურთელები აინტერესებს. ახლა თუ არა, არის შანსი, რომ მომდევნო სატრანსფერო ფანჯარაში დავიმატოთ რომელიმე ქართველი ფეხბურთელი. ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დავიწყეთ, 5 ივლისს ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე გვიწევს თამაში პოლონურ და ბელარუსულ გუნდებში გამარჯვებულთან.

**- ისევ ევროპის ჩემპიონატზე გკითხავ. პირველი ტურის შემდეგ გერმანულმა მედიამ დიდი მონადინებით გააშარჟა ავსტრიის ნაკრები. ახლა კი ისეთი სიტუაცია შეიქმნა, გერმანიის მეოთხედფინალში გასვლა სწორედ ავსტრიასთან თამაშზეა დამოკიდებული. რას ამბობენ ყოველივე ამაზე ავსტრიელები?**

- ავსტრიელებმა წყენა გულში ჩაიდეს და ამბობენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გერმანელებს ჭკუა უნდა ვასწავლოთო. ავსტრიის ნაკრებს გერმანიასთან ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება და ფსიქოლოგიური უპირატესობაც, ალბათ, ავსტრიელების მხარეს იქნება - ხორვატებთან მარცხის შემდეგ გერმანელებს დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვებათ და არ არის გამორიცხული, სენსაციის მიწმენი გავხდეთ.

**- ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონა?**

- პორტუგალიამ კარგი ფეხბურთი ითამაშა. ჯერ მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა ჰოლანდიამ, თუმცა იტალიას ასეთი ანგარიშით რომ მოუგებ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

**- ჩემპიონატის რომელიმე თამაშს თუ დაესწარი?**

- ჯერ არა, მაგრამ კლუბი მომცემს მეოთხედფინალების და ნახევარფინალების ბილეთებს. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა ფინალზე წასვლაც, თუმცა ჯერ არ ვიცი, მის ბილეთს ხელში ჩავიგდებ თუ არა.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008 სპეციალისტის თვალით

# გიორგი ჩიხრაძე: ფინალში პორტუგალია უნდა გავიდეს

**ევროპის ჩემპიონატი ეშხში შედის** - გამოიკვეთენ საინტერესო გუნდები და ფეხბურთელები, მოხდა პირველი პატარა სენსაციაც - ხორვატიამ გერმანიას მოუგო და ალბათ, მოულოდნელი შედეგები ისევ იქნება.

მანამდე კი "ლელოს" კითხვებს თბილისის "ამერის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე პასუხობს, ვისაც ევრო 2008-ის გარდა საკუთარ გუნდზეც ვკითხეთ.

**- რა ტენდენციები დაინახეთ ევრო 2008-ზე?**

- ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში ჯერ არ შესულა და ტენდენციებზე საუბარს მოვერიდები. იმის თქმა კი ახლავე შეიძლება, რომ ბოლო წუთებამდე უშეღავათო ბრძოლა მიდის. გამოჩნდა ისიც, რომ პირველი ტურით ყველაფერზე ვერ ვიმსჯელებთ. პირველ ტურში შესანიშნავად ითამაშა გერმანიამ, ახლა კი აგერ ხორვატებთან დამარცხდა. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო მატჩები ჯგუფურ ეტაპზეც იქნება. იტალიამ ჰოლანდიასთან დიდი ანგარიშით წააგო, მაგრამ ამ ჯგუფში ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

**- ყველაზე მეტად რომელი გუნდი მოგეწონათ?**

- ძალიან მომეწონა ჰოლანდია, რა თქმა უნდა, პორტუგალიაც.

**- ჰოლანდია-იტალიის მატჩზე რას იტყოდით, მაინც რის ხარჯზე გაიმარჯვა ჰოლანდიამ ასეთი უპირატესობით?**

- ეს იყო ორი ძალიან განსხვავებული სტილის მეტოქეთა დაპირისპირება და ერთმა თავისი უპირატესობები ძალიან კარგად გამოიყენა - სწრაფი, აგრესიული თამაშით ჰოლანდიელებმა დაჯაბნეს იტალია, რომელსაც საერთოდ კარგად გამოსდის შედეგზე თამაში, რასაც, ალბათ, მომდევნო მატჩებში გვიჩვენებს.

**- განვლილი მატჩებიდან ყველაზე უფრო რომელმა ფეხბურთელმა მოახდინა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება?**

- დავიდ ვილიამ, გამოვარჩევდი პოდოლსკისაც, ჰოლანდიის ნაკრებში კი არაერთმა ფეხბურთელმა გვიჩვენა ძალიან ხარისხიანი თამაში. საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩინა თავი ხორვატმა ლუკა მოდრიჩმა. თუმც ისიცაა, რომ ჯერ ჯგუფური ეტაპი მაინც უნდა მორჩეს, გუნდები და ფეხბურთელები რომ გამოვარჩიოთ.


გიორგი ჩიხრაძე

**- პროგნოზები მაინც და მაინც არ გიყვართ, მაგრამ იქნებ გამონაკლისი დაუშვათ რომელი გუნდი მიგაჩნიათ ფავორიტად?**

- ფინალში პორტუგალია უნდა გავიდეს, რაც შეეხება მეორე ფინალისტს, ვფიქრობ, ის ამ სამი გუნდიდან ერთ-ერთი იქნება: იტალია, ჰოლანდია და საფრანგეთი.

**- "ამერზეც" გკითხავთ. გუნდი დატოვა დიმიტრი ტატანაშვილმა, რომელიც ჩეხურ "პლზენში" გადავიდა. კიდევ რა სატრანსფერო სიახლეებია მოსალოდნელი?**

- არის დაინტერესება "ამერის" სხვა ფეხბურთელების მიმართაც. მაგალითად, დავით ბოლქვაძე და გრიგოლ დოლიძე ჩეხური გუნდების თვალთახედვის არეში არიან.

**- "ამერის" სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ალბათ რატი წინამძღვრიშვილია...**

- მას ტრავმის გამო მთელი წინა სეზონი გაუცდა. ახლა ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და იმედია, ახალი სეზონის მოსამზადებელ ეტაპს გუნდთან ერთად დაიწყებს. მისთვის ახლა ტრანსფერზე უფრო მთავარი ოპტიმალური ფორმის დაბრუნებაა.

**დავით თავართქილაძე**

პრესკონფერენცია

# მარადონა თბილისში ჩამოვა... თუ იქნება ფული

**დიეგო მარადონას** თბილისში ჩამოყვანა, პირველად 11-12 წლის წინათ დადგა დღის წესრიგში. თუმცა მაშინ ჩანაფიქრი არ განხორციელდა. საამისოდ, არაერთი მიზეზი იყო. არგენტინელმა თავისი წარმომადგენლის პირით დელიკატურად შემოგვითვალა - მომიტევეთ, მაგრამ საქართველოში საფეხბურთო ვითარება არ ყოფილა და ვერ ჩამოვალო. გუშინ კი მისმა წარმომადგენელმა **ალეხანდრო ვიქტორ მანკუსომ ნიკო პატარქალიშვილის** პრესკონფერენციაზე ქართულ მასმედიას სატელეფონო საუბარში უთხრა - საქართველოში სიამოვნებით გეწვევითო.

სხვათა შორის, შარშანწინ ურუგვაის ნაკრების ჩამოსვლაც ნიკო პატარქალიშვილის მეშვეობით მოხერხდა. ფეხბურთის ფედერაციამ პატარქალიშვილს (მისივე შეთავაზების შემდეგ, ურუგვაის ნაკრებს ჩამოვიყვანო) უფლებამოსილება მისცა და მანაც ეს ჩანაფიქრი განახორციელა.

ნიკო პატარქალიშვილის პრესკონფერენცია ვახსენეთ. ამჯერად ის გრანდიოზული პროექტის განხორციელებას გეგმავს. მისი სურვილია, 2008 წლის 23-30 ოქტომბერს, თბილისში, საერთაშორისო ოთხთა ტურნირი "მარადონას თასი" ჩატარდეს, სადაც თავად ლეგენდარული ფეხბურთელის ჩამოვა. ეს პროექტი შედგება, თუ სპონსორების დახმარებით საამისო ფინანსები გამოინახება. ტურნირის ორი სტუმარი გუნდის მოწვევაზე თანხმობაც მიღებულია. რალა თქმა უნდა, ამ ყველაფერში ფეხბურთის ფედერაციაცაა ჩართული.

ნიკო პატარქალიშვილი:

- ამ პროექტის განხორციელებას ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ვაპირებთ. ფედერაციამ მიმდინარე წლის 14 მარტს მომცა უფლებამოსილება ამ ტურნირის ორგანიზებაზე. ამ დოკუმენტით მოლაპარაკებათა წარმოება და კონტრაქტების გაფორმება შემიძლია. ორი თვეც არ იყო გასული და პირველი შედეგი მივიღეთ. 19 მაისს, დიეგო მარადონას წარმომადგენელმა ალეხანდრო ვიქტორ მანკუსომ მინდობილობა მომცა. აი, ეს საბუთი და ვნახოთ, თუ რა წერია მასში:


ნიკო პატარქალიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

"დიეგო არმანდო მარადონას სახელით, მე, ალეხანდრო ვიქტორ მანკუსო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ნიკო პატარქალიშვილს სათანადო უფლებამოსილებას და მინდობილობას ვანიჭებ აწარმოოს მოლაპარაკებები საერთაშორისო ტურნირ "დიეგო არმანდო მარადონას თასის", თბილისში (2008 წლის ოქტომბერში) ჩატარებასთან დაკავშირებით".

საბუთი დამოწმებულია არგენტინელი ნოტარიუსის მიერ ბუენოს აირესში. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ დავიწყე მოლაპარაკებები ტურნირის ორგანიზებაზე და აქაც გვაქვს შედეგები.

ამ გათამაშებაში ახალგაზრდული, 21-წლამდელთა ნაკრებები მიიღებენ მონაწილეობას. არაერთი მოლაპარაკება მქონდა სამხრეთ ამერიკაში. უკვე მაქვს ორი დოკუმენტი რომელიც ადასტურებს, რომ არგენტინისა და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებები "მარადონას თასის" გათამაშებაში იასპარეზებენ. მასპინძელი ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრები იქნება. მეოთხე მონაწილე კი ევროპიდან იქნება. ესპანეთი ან იტალია გვინდა, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**- ბუნებრივია, ტურნირის ორგანიზებას გარკვეული ფინანსები ესაჭიროება. ალბათ, სპონსორების მოძიებაზეც მუშაობთ.**

- ჯერ კიდევ სამხრეთ ამერიკაში გამგზავრებამდე შეხვედრა მქონდა საქართველოში "ფოლკსვაგენის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელობასთან. დაინტერესდნენ ამ პროექტით. როცა, ალეხანდრო ვიქტორ მანკუსოსგან, ასევე, ბრაზილიისა და არგენტინის ახალგაზრდული ნაკრებების ჩამოსვლაზე თანხმობები მივიღე, სამხრეთი ამერიკიდან ტელეფონით ვესაუბრე და საქმის კურსში ჩავაყენე.

"ფოლკსვაგენის" გარდა "ნოკიას" აქაურ წარმომადგენლობასთანაც გვაქვს მოლაპარაკება. კიდევ რამდენიმე კონტაქტი გვაქვს ბიზნესჯგუფებთან და ყველანაირად ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი სპონსორი მოვიზიდოთ.

**- "მარადონას თასის" გათამაშების მატჩები რომელ სტადიონებზე ჩატარდება?**

- გვინდა, ყველა თამაში ეროვნულ სტადიონზე გაიმართოს.

**- თავად მარადონა რა აზრისაა ამ ტურნირისა და საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე?**

ამ კითხვას უკვე პრესკონფერენციის კულმინაცია მოჰყვა. ნიკო პატარქალიშვილმა განაცხადა:

- ამაზე მარადონას წარმომადგენელი თავადვე გეტყვით...

პატარქალიშვილმა მობილურით დიეგო მარადონას წარმომადგენელ ალეხანდრო ვიქტორ მანკუსოს დაურეკა და ქართველი ჟურნალისტის ზემოთ დასმული კითხვა გაუმეორა. მისი პასუხი (მობილური ტელეფონი მაღალი ხმის რეჟიმზე იყო ჩართული) კი ასეთი იყო:

- მოგესალმებით. ყველაფერი ვიცით "დიეგო მარადონას თასის" გათამაშების თბილისში ჩატარებასთან დაკავშირებით. ნიკომ ბევრი რამ გვითხრა საქართველოსა და ქართული ფეხბურთის შესახებ. ვიცით, რომ საქართველოში ფეხბურთი არაა მხოლოდ სპორტის სახეობა. ფეხბურთი ქართველისთვის უფრო მასშტაბურია. ჩვენ ჩამოვალთ, რადგან გვსურს, თქვენს ხალხს საფეხბურთო სანახაობა, დიდი ზეიმი ვაჩუქოთ.

მერე ისევ კითხვა-პასუხი გაგრძელდა.

**- რა თანხას ითხოვენ არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებები თბილისში ჩამოსვლის სანაცვლოდ?**

- ბუნებრივია, ისინი გარკვეულ ჰონორარს ითხოვენ. გვინდა, ჩვენთვის გარკვეული შეღავათები გააკეთონ, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხერხდება.

**- არგენტინაში რამდენიმე ქართველი წაიყვანეთ. ამ ტურნირზე ისინიც იასპარეზებენ?**

- ჩვენ სწორედ იმისთვის მიგვყავს ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელები არგენტინაში, რომ კლასი აიმაღლონ, დაიხვეწონ და ჩვენს ნაკრებ გუნდებს გამოადგნენ. ჩემი აზრით, ხვიჩა მურღულია და ვასილ აფციაური უკვე მზად არიან 21-წლამდელთა ნაკრებში სათამაშოდ. თუმცა საბოლოო სიტყვა ნაკრების მწვრთნელებზეა და მათ კომპეტენციაში ვერ ჩავერევი. ამ ორის გარდა კიდევ ვამზადებთ ფეხბურთელებს არენტინაში. ასეთი სულ 11 მოთამაშეა. მალე კიდევ გავუშვებთ რამდენიმე ფეხბურთელს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ადამია საუკეთესოა

## ქართველი ფეხბურთელი შექმნილ ვითარებას ვერ ეგუება

გიორგი ადამიამ ბაქოს "ნეფთჩისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა და ამის შემდეგ გაირკვა, რომელი კლუბები ინვევდნენ. ბაქოს "ინტერი"და "ოლიმპიკი", მასალის "გაბალა" (რაც საკმაოდ უცნაური წინადადება იყო) და მახაჩყალის "ანჟი".

სწორედ "ანჟი" არის ის კლუბი, რომელიც ქართველ ფეხბურთელში ნახევარ მილიონ დოლარს იხდიდა.

გაზეთმა "ტრენდმა" ინტერნეტპორტალის მომხმარებელთა შორის აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. ნომინაციები ამპლუების მიხედვით შეადგინეს.

გიორგი ადამიამ მკითხველთა 24.14 პროცენტის სიმპათია დაიმსახურა, "ოლიმპიკის" ბრაზილიელ ლეგიონერ ფაბიო ლუის რამიმს საკმაოდ გაუსწრო და საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მოიპოვა.

თუმცა, კურიოზი ისაა, რომ ანატოლი დემიანენკოს "ნეფთჩიში" იანვარში დანიშვნის შემდეგ ქართველი ისევ თავდასხმაში დააბრუნეს და სწორედ მას შემდეგ გამოაჩინა "კბილები".

ოქროს მედლებისთვის მებრძოლმა "ნეფთჩიმ" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ინტერტოტოს თასზე ასპარეზობით მოუწევს დაკმაყოფილება. ეს შედეგი ბაქოური კლუბის წევრებს არ აკმაყოფილებთ. მათ შორისაა გიორგი ადამიაც, რომელმაც "აზერისპორტს" ბლიც-ინტერვიუ მისცა.

**- უკვე ტრადიციად იქცა, რომ "ნეფთჩი" აზერბაიჯანის ჩემპიონობისთვის ველარ იბრძვის.**

- ამას ვერ შევეგუებით. ჩვენი გუნდისთვის ჩემპიონობის გარდა, სხვა ნებისმიერი შედეგი მიუღებელია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს უსიამოვნო ტრადიცია მომავალ სეზონში დავარღვიოთ.

**- ბრინჯაოს მედლებს პატარა წარმატებადაც არ მიიჩნევთ?**

- ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა გვსურდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემპიონატში უამრავი გაუთვალისწინებელი ქულა დავკარგეთ და მხოლოდ მესამე ადგილს დავჯერდით. სხვა კლუბისთვის ეს შეიძლება კარგი შედეგი იყოს, მაგრამ არამც და არამც ჩვენთვის.

**- "ნეფთჩის" ბევრი პრობლემა აქვს?**

- ასე ნამდვილად არაა. მჯერა, აზერბაიჯანის ჩემპიონატსა და ინტერტოტოს თასზე ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს დავამტკიცებთ.

**- ინტერტოტოს პირველ ეტაპზე ჩეხურ "ნიტრას" დაუპირისპირდებით. ამ ბარიერის გადალახვის დიდი შანსი გაქვთ?**

- მომდევნო ეტაპზე გასვლა ნამდვილად შეგვიძლია, მაგრამ საამისოდ თავდადებული თამაში დაგვჭირდება. წინ დიდი ბრძოლა გველის. გამორიცხული არც ისაა, სამივე რაუნდი გავიაროთ და უეფას თასზე მოვხვდეთ.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ლეგიონერი

# დვალიშვილმა ჩემპიონი დაამარცხა



ვლადიმერ დვალიშვილი

ლატვიის ვირსლიგაში მე-10 ტურის ორი მატჩი გაიმართა, ტური ხვალ დასრულდება. რიგაში „სკონტომ" ცენტრალურ მატჩში ჩემპიონ „ვენტსპილსს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. გამარჯვების გოლი „სკონტოს" ფორვარდმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაიტანა. „სკონტომ" თამაში უქართველოდ დაიწყო, ვლადიმერ დვალიშვილი და **დავით გამეზარდაშვილი** სათადარიგოები იყვნენ. დვალიშვილმა 82-ე წუთზე შეცვალა **ოლეგ ლაიზანსი** და ოთხ წუთში გაიტანა გამარჯვების გოლი. ქართველმა ფორვარდმა პასი **ვიქტორ მოროზისგან** მიიღო და დახლოებით 18 მეტრი დისტანციიდან დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. დვალიშვილს 4 გოლი აქვს გატანილი ჩემპიონატში და ბომბარდირთა დავაში მესამეა **რიმკუსის** და **მიხოლაპის** (6-6) შემდეგ. „ვენტსპილსის" 10 ნომერი **ზურაბ მენთეშაშვილი** 82-ე წუთზე შეცვალეს. მენთეშაშვილი საუკეთესო იყო სტუმართა რიგებში, მან ორჯერ ძალიან სახიფათოდ დაარტყა **დოროშევის** კარში, თუმცა „სკონტოს" გოლკიპერმა ორივეჯერ სასწაულებრივ იხსნა გუნდი, ორივე ეპიზოდი მეორე ტაიმში მოხდა. **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა" სტუმრად „დაუგავასთან" 0:2 დამარცხდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „ვენტსპილსი" 26 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „სკონტოს" 19 ქულა აქვს და მესამეა, თუმცა „ვენტსპილსზე" ორით ნაკლები თამაში აქვს ჩატარებული. „ბლაზმა" 6 ქულით ბოლოსწინაა. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" 14 ქულით მეხუთე ადგილზეა.

### მანჩხავა მასპინძლებს არბევს

ლიტვის A ლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, ჩემპიონმა და ლიდერმა „კაუნასმა" სტუმრად „შილიუტე" გაანადგურა – 6:0. **გივი კვარაცხელიას** ბელარუსში გადასვლის შემდეგ „კაუნასში" **ნუკრი მანჩხავა** და **აკაკი ხუბუტია** დარჩნენ. ხუბუტია მატჩის განაცხადში არ ყოფილა, მანჩხავამ კი მასპინძელთა რბევაში უშუალო მონაწილეობა მიიღო, მან შეუცვლელად ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# რევიშვილმა ვარჯიში განაახლა

10 ივნისს ნუკრი რევიშვილმა თბილისში ქორწილი გადაიხადა და ავსტრიაში გაემგზავრა.

ყაზანის "რუბინმა" მოსკოვში შეკრება დაასრულა და დღეს ავსტრიის საკურორტო ქალაქ კიცბიუელში მეორე ეტაპს დაიწყებს.

ნუკრიმ ტრავმა უკვე მოირჩინა და საერთო ჯგუფში ივარჯიშებს. "რუბინი" ავსტრიაში ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს.

**მერაბ მამულაშვილი**



ნუკრი რევიშვილი

# ჩივაძე ჰიდინკს დაცვის შეცვლას ურჩევს



ალექსანდრე ჩივაძე

ესპანეთისა და რუსეთის მატჩის შემდეგ "სპორტ-ექსპრესმა" **ალექსანდრე ჩივაძეს** ჩამოართვა ინტერვიუ და მატჩის გაანალიზება სთხოვა. საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტნის საუბრიდან ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მან რუსებს დაცვა დაუწუნა.

*"ვიცი, რომ რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მთელი საკვალიფიკაციო ეტაპის განმავლობაში ძირითადი მცველები სერგეი იგნაშევიჩი და ძმები ბერეზუცკები იყვნენ. რატომღაც ევრო 2008-ზე ისინი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ. ალბათ, მათი ძირითადში დაბრუნების დროა. ესპანეთთან გუნდის მთავარი პრობლემა სწორედ უკანა ხაზი იყო. ჰიდინკის ადგილზე დაცვის ხაზს შევცვლიდი. შეიძლება, ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ყველა მცველი არ შეცვალოს, მაგრამ გარკვეულ გადაადგილებებს აუცილებლად მოახდენს. ერთადერთი რუსი უკანახაზელი, რომელმაც ასე თუ ისე ნორმალურად ითამაშა, იური ჟირკოვი იყო"*, - ამბობს ჩივაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სიომინმა ქართველი ძირითადში აიყვანა



თემურ ფარცვანია

ეტყობა, **თემურ ფარცვანია** ნიჭიერი ბიჭია. 18 წლის ცენტრალური მცველი უკრაინის დედაქალაქში სამი წლის წინათ მოხვდა და კიევის "დინამოს" აკადემიიდან ჯერ დუბლებში, ახლა კი ძირითად გუნდში გადაიყვანეს.

**იური სიომინი** ფარცვანიას დიდი ხანი აკვირდებოდა და ეტყობა მასში პოტენციალი დაინახა. კიეველებმა ახალი სეზონისთვის მზადება 10 ივნისს კონჩა-ზასპეს ბაზაზე დაიწყო და დუბლებიდან აყვანილ ორ ბედნიერ ფეხბურთელს შორის, ერთ-ერთი ქართველიც აღმოჩნდა. დღეისთვის სიომინის ხელმძღვანელობით, სულ თვრამეტი ფეხბურთელი ვარჯიშობს.

შეგახსენებთ, რომ ფარცვანიას უკრაინელებმა ქვეყნის მოქალაქეობა მისცეს და 19-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვიეს. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ბიჭი საქართველოს ნაკრების მაისურით ველარ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# სუპერპიპო, თამაშგარეში დაბადებული

## მილანელი ვეტერანი, რომელიც დონადონის არ დასჭირდა

**ფილიპო ინძაგის მიმართ დამოკიდებულება ორგვარია – ან გიყვარს, ან გეჯავრება, აფასებ თამაშის მისეულ სტილს ან მიგაჩნია, რომ ის, მხოლოდ და მხოლოდ, ბედის ნებიერაა და იღბლის ხარჯზე იტანს გოლებს. თვით იოჰან კრუიფმაც კი არ დაიზარა და მასზე თქვა: *"მან სულ არ იცის ფეხბურთის თამაში, სამაგიეროდ ყოველთვის იდეალურად ირჩევს პოზიციას."* "აძურის" ყოფილ ფორვარდს რამდენიმე თვის წინათ საოცარი პერიოდი ედგა, მას სერია A-ში ზედიზედ 13 თვის განმავლობაში არ ჰქონდა გოლი გატანილი, მაგრამ... დადგა თებერვალი და მას აქეთ ჩემპიონატის 7 თამაშში 10 გოლი შეაგდო. ამის მიუხედავად რობერტო დონადონიმ "სუპერპიპო" ჩემპიონატს მიღმა დატოვა, არადა, ეს ჩემპიონატი დამსახურებული ვეტერანის კარიერაში, ალბათ, უკანასკნელი უნდა გამხდარიყო.**



ფილიპო ინძაგი

გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ – არა, მაგრამ **პიპო ინძაგიმ** ფეხბურთის თამაში თავდაპირველად კარში დგომით დაიწყო, მაგრამ მალე დაასკვნა (სავსებით ლოგიკურად), რომ გოლის გატანა უფრო სასიამოვნო შეგრძნება იყო, ვიდრე ბურთის მოგერიება და სათამაშოდ წინა ხაზს მიაშურა.

ფილიპოს ოჯახი პიაჩენცის (ჩრდილოეთი იტალია, ემილია რომანიის რეგიონი) გარეუბან სან ნიკოლოში ცხოვრობდა. მამა შვილებს ყოველმხრივ ხელს უწყობდა სპორტულ კარიერაში, ხოლო დედას შვილების მომავალი უფრო დიპლომატიურ ასპარეზზე წარმოედგინა, ვიდრე ბურთის "უაზროდ" დევნაში. ამიტომ მათს სწავლა-განათლებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. თქვენ წარმოიდგინეთ და, ფეხბურთელი ორივე ფრონტზე წარმატებით ახერხებდა "თამაშს", კარგადაც ბურთაობდა და სკოლაშიც მშვენიერი ნიშნები ჰქონდა. მან იცოდა, რომ სხვა შემთხვევაში ბურთთან განშორება მოუხდებოდა. შემდგომში, უკვე "იუვენტუსში" თამაშისას, ფილიპომ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი მიიღო, ინჟინრის კვალიფიკაციით.

"პიაჩენცაში" ფეხბურთელმა საბავშვო ასაკიდან მოყოლებული ყველა ეტაპი გაიარა და 1991 წელს უკვე მისი დებიუტი შედგა პროფესიულ დონეზე. იმ სეზონში ინძაგიმ სულ რაღაც 2 თამაში ჩაატარა და, რა გასაკვირია, რომ გოლი ვერ გაიტანა. შემდგომი სეზონისთვის იუნიორი ფეხბურთელი გუნდმა სერია C1-ში, "ალბინოლეფეში" მიავლინა, ვისაც **ბორტოლო მუტი** წვრთნიდა. *"კი მაგრამ ეს ვინ მოიყვანა აქ? ეს ბავშვი ფეხბურთელს კი არა ბალერონს ჰგავს"*, - აყვირდა პირველივე ვარჯიშის შემდეგ მუტი. თუმცა ძალიან მალე სპეციალისტმა ქუდი მოიხადა ამ "ბალერონის" წინაშე და აღიარა, რომ საქმე უნიჭიერეს ფეხბურთელთან ჰქონდა. 13 გოლი 21 თამაშში, 19 წლის ბიჭისთვის მშვენიერი შედეგი იყო. 1993-94 წლების სეზონი მან უკვე სერია ბ-ს "ვერონაში" ჩაატარა და 36 თამაშში 13 გოლი გაიტანა, აღსანიშნავია, რომ პირველ 8 ტურში მის ანგარიშზე უკვე 8 გოლი იყო. ეს უკვე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს ნიჭიერი გოლეადორისთვის ყურადღება მიექციათ. თუმცა "პიაჩენცამ" ის თავის რიგებში დაიბრუნა და 1994-1995-ის სეზონში ისევ სერია ბ-ში მან 37 თამაშში 15 გოლის გატანა მოახერხა. ასეთმა სტაბილურობამ, ბუნებრივია, უკვე იტალიური გრანდების ყურადღება მიიპყრო და ის "პარმამ" შეიძინა. ემილიურ გრანდს ზუსტად მაშინ ზეობის პიკი ჰქონდა, გუნდი უეფას თასის მფლობელი გახლდათ და მიზნად კიდევ უფრო მეტი წარმატებები ჰქონდა დასახული. **ნევიო სკალამ** "ბარსელონიდან" **ხრისტო სტოიჩკოვი** გადმოიბირა. თითქოს ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ... გუნდმა საბოლოოდ ჩემპიონატში მხოლოდ მე-6 ადგილი დაიკავა, უეფას თასზეც ადრეულ ეტაპზე გამოვარდა პსჟ-თან და რაც მთავარია, გუნდს ვერ მოერგო ვერც ბულგარელი სუპერვარსკვლავი და ვერც იუნიორი იტალიელი, რომელმაც ტერფის ნების ძვალი იმდენად დაიზიანა, რომ 2,5 თვე ბურთისთვის ფეხი არ დაუკარებია. ახლა უკვე "პარმის" ჯერი დადგა, რომ ის არენდით სადმე გაეშვა და მალე ასეთი გუნდიც მოინახა – სერია ა-ში მოასპარეზე ბერგამოს "ატალანტა". აქ კი უკვე პიპოს ვარსკვლავურმა საათმა დაჰკრა, გუნდმა ჩემპიონატის 34 თამაშში 44 გოლი გაიტანა, აქედან ინძაგის ანგარიშზე 24 ბურთი მოვიდა. ფორვარდის გაბრწყინების მთავარი მიზეზი ალბათ, ის უზარმაზარი ნდობა იყო, რაც მის მიმართ "ატალანტის" თავკაცმა **ემილიანო მონდონიკომ** გამოიჩინა. მან მთელი "ატალანტა" პიპოზე სამუშაოდ დაქოქა. ნახევარდაცვიდან მას ეხმარებოდნენ **დიმინიკო მორფეო და ჯანლუიჯი ლენტინი** – შედეგად ინძაგი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ჟურნალისტები მოგვიანებით იხსენებდნენ, მას რომ შექმნილი მომენტების ნახევარი მაინც გამოეყენებინა, სერია ა-ს ყველა დროის რეკორდს დაამყარებდაო. *"მონდონიკომ დამარწმუნა, რომ შემეძლო სერია ა-ს საუკეთესო თავდამსხმელი გავმხდარიყავი. მირჩია, რომ ცოტა უფრო ეგოისტურად და ცოტა უფრო თავხედურად მეთამაშა მოედანზე. ვცდილობდი, მისი ყოველი სიტყვა დამეხსომებინა და ღრმად ჩამებეჭდა გონებაში. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ის ინძაგი, რომელიც შემდეგ მთელმა მსოფლიომ გაიცნო, სწორედ ემილიანომ შექმნა"*, - გამოტყდა მოგვიანებით ფეხბურთელი. ნაკრებში დებიუტმაც დიდი ხანი აღარ დააყოვნა, 1997 წლის ივნისში პიპომ ფრანგების წინააღმდეგ პირველად მოირგო ლურჯი ფორმა.

რა საკვირველია და, მისმა თამაშმა მთელი იტალია მოხიბლა და მათ შორის ყველაზე მეტად "ბებერი ქალბატონის" გენერალური მენეჯერი **ლუჩანო მოჯი**. ოდიოზურმა ბოსმა, ინძაგი მადრიდის "ატლეტიკოში" გადაბარგებული **კრისტიან ვიერის** შემცვლელად შეიძინა (ისინი ოდესღაც იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში ერთად თამაშობდნენ).

ტურინში ფორვარდმა ბრწყინვალე ტანდემი შეადგინა **ალესანდრო დელ პიეროსთან** ერთად, "იუვენტუსმა" კი **მარჩელო ლიპის** თავკაცობით სკუდეტო მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, სადაც **იუპ ჰაინკესის** "რეალთან" 1:0 დამარცხდა. პიპო უმალ მიიღეს და შეიყვარეს "იუვეს" ტიფოზებმა, მაგრამ უმალ შეიძულეს მეტოქე გუნდის ფანებმა, ისევე, როგორც მეტოქე მცველებმა, მიზეზი ძირითადად ასე ყალიბდებოდა: *"ძალიან ძნელია მასთან თამაში, რადგან ის მარტო მაშინ კი არ ეცემა ძირს, როცა მასთან ორთაბრძოლაში შედიხარ, არამედ მაშინაც, როცა მაღალ სისწრაფეზე გვერდით ჩაურბენ და მას მხოლოდ ნიავი ეხება. მისი დაცემის შემდეგ კი ხშირად პენალტი ინიშნება,"* – ეს ფორმულირება კი მრავლისმნახველმა **ჯუზეპე ბერგომიმ** შეშფოთებულმა ამოთქვა. *"ეს ფეხბურთელი ალბათ თამაშგარეში დაიბადა,"* – ასეთი დასკვნა კი მასზე სერ **ალექს ფერგიუსონმა** გააკეთა.

ლიპის შემდეგ "იუვეში" **კარლო ანჩელოტის** ეპოქა დაიწყო, მან ინძაგიში საიმედო დასაყრდენი ვერ იპოვნა, ამიტომ მისთვის კარლეტოს პერიოდი ნაკლებად წარმატებული გამოდგა. ერთ დღესაც კი გუნდის თავკაცმა თავდასხმაში გასაძლიერებლად ფრანგი **დავიდ ტრეზეგე** შეიძინა. პიპოს სხვა გზა არ დარჩენოდა, თუ არა ტურინიდან აბარგებულიყო. მისი შემდგომი გაჩერება "მილანი" აღმოჩნდა. იქ მას დამრიგებლად **ფატიჰ თერიმი** დახვდა, ვინც გამოაცხადა, რომ გუნდში სხვანაირი აღნაგობის ფეხბურთელები სჭირდებოდა. **სილვიო ბერლუსკონი** მხოლოდ 5 თვის თავზე მიხვდა, რომ ის ფეხბურთი, რასაც თერიმი "მილანს" ათამაშებდა, არ იყო მისაღები და თურქი თანამდებობიდან გაუშვა. თითქოს ინძაგის ისე უნდა მოსვლოდა, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, რადგან გუნდში კარლო ანჩელოტი დაინიშნა. თუმცა მოხდა სასწაული და კარლეტომ ფეხბურთელის ნიჭს "სან სიროზე" სხვა თვალით შეხედა. და ცნობილია, რომ როცა ინძაგის ენდობიან, ის მუდამ ბოლომდე ამართლებს ხოლმე ავანსს, რასაც მასზე გასცემენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში, შევჩენკოსთან დუეტში, ფეხბურთელმა მოახერხა სკუდეტოს, იტალიის თასის, ორჯერ ჩემპიონთა ლიგის, ამდენჯერვე სუპერთასის, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება. მის ანგარიშზეა ევროთასების ყველა დროის რეკორდი გატანილი გოლების რაოდენობის მხრივ.

გარდა იმ ფეხბურთელისა, ვისაც ჩვენ მინდვრიდან ვიცნობთ, არსებობს ცხოვრების სხვა მხარეც, მინდორსა თუ სტადიონს მიღმა. პიპო აქაც არანაკლებ აქტიურია და არანაკლებ დაულალავი. რამდენიმე წლის წინათ, "მილანმა" დააარსა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც მოწოდებულია, დაეხმაროს გულით დაავადებულ ბავშვებს. ამ ფონდის ოფიციალური წარმომადგენელი კი სწორედ ჩვენი სტატიის გმირია. ასე რომ, სუპერპიპო არამხოლოდ საფეხბურთო ნიჭის გამო იმსახურებს დაფასებას.

ევრო 2012

## ჩემპიონატი უკრაინაში რჩება

უეფამ კატეგორიულად უარყო ბოლო დროს გავრცელებული სპეკულაციები იმის შესახებ, რომ თითქოს ევროპული ფეხბურთის ბოსები უკრაინისთვის ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების ჩამორთმევის ვარიანტს განიხილავენ.

*„ამ ეტაპზე ევრო 2012-ის სხვა ქვეყანაში ჩატარებაზე არ ვფიქრობთ,"* – განაცხადა უეფას წარმომადგენელმა **უილიამ გალარდმა**, - *„ჩვენ გვაქვს ალტერნატიული გეგმები, მაგრამ განიხილება მხოლოდ მატჩების სხვა ქალაქებში ჩატარება. მაგალითად, ოდესაში ან კრაკოვში. ჯერ-ჯერობით იმედს ვიტოვებთ, რომ უკრაინისთვის ევროპის ჩემპიონატის ჩამორთმევა აუცილებელი არ გახდება. საბოლოო გადაწყვეტილებას ივლისში მივიღებთ."*

ექსპერტის აზრი. ინტერვიუ არსენ ვენგერთან

# გარისკვა არავის უნდა

## ევრო 2008-ის ფინალისტები ვერ ამართლებენ არსენალის მთავარი მწვრთნელის მოლოდინს

**ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურს აჯამებს "არსენალის" ფრანგი დამრიგებელი არსენ ვენგერი, რომელიც მხოლოდ ჰოლანდიასა და ესპანეთს აქებს, დანარჩენ გუნდებს კი, ფრთხილ და უინიციატივო თამაშს უწუნებს.**



არსენ ვენგერი

**- ევროპის ჩემპიონატის ყველა მონაწილე ნახეთ საქმეში. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?**

- არ მეგონა, რომ ასეთი დაბალი ხარისხის თამაშს ვიხილავდი. მაგრამ ჩემი აზრით, ამის მიზეზი დაბალი სათამაშო კლასი არ გახლავთ. რაც არ უნდა იყოს, შვეიცარია-ავსტრიაში კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელები არიან შეკრებილნი. საქმე ფსიქოლოგიაშია. ჯერჯერობით, არავის სურს რისკზე წასვლა. გამონაკლისი მხოლოდ ჰოლანდიისა და იტალიის დაპირისპირება იყო.

**- ყველაზე მეტად პირველ ტურში რამ გაგაოცათ?**

- ძალიან ცოტა საგოლე მომენტმა. მაგრამ ახსნა ამასაც მოეძებნება. დღეს, აბსოლუტურად ყველა გუნდი მკაცრად იცავს ტექნიკურ-ტაქტიკურ დისციპლინას, ყველანი ბრწყინვალედ არიან ორგანიზებულნი და მინიმალურ შეცდომებს უშვებენ დაცვაში. ამ მხრივ, განცალკევებით დგას შეხვედრა ესპანეთისა და რუსეთის ნაკრებებს შორის. ესპანელებმა ლამაზად ითამაშეს, მაგრამ რუსეთს სწორედ ზემოთნახსენები დისციპლინა აკლდა და მეტოქეს ზედმეტი თავისუფალი სივრცეები მისცა. გარდა ამისა, ჰიდინკის შეგირდები კლასშიც შესამჩნევად ჩამოუვარდებოდნენ ესპანელებს. რუმინეთისა და საფრანგეთის დაძაბული, მაგრამ მოსაწყენი თამაშის ფონზე, ფანტასტიკური გამოვიდა იტალიისა და ჰოლანდიის დაპირისპირება. აქ იყო უამრავი საგოლე მომენტი, რაც იშვიათია ასეთი დონის მატჩებში.

**- რატომ მოხდა ასე?**

- გულახდილად გითხრათ, არ ვიცი. შესაძლოა იმის გამო, რომ გუნდებმა იცოდნენ საფრანგეთისა და რუმინეთის მატჩის შედეგი (0:0) და პირველივე მატჩში გადაწყვიტეს ჯგუფიდან გასვლის საქმეში წინ წაწევა. გამარჯვებული სამ ქულას და რუმინეთის დამარცხების შემთხვევაში, მეოთხედფინალში გასვლის კარგ პერსპექტივას იღებდა.

**- ელოდით ჰოლანდიელთა ასეთ ლაღ და შთამბეჭდავ თამაშს?**

- ჰოლანდიელები მოედანზე ძალიან მობილიზებულები და გამარჯვების წყურვილით აღსავსენი გავიდნენ, რაც ვერ შევამჩნიე იტალიელებში. მაგრამ სურვილის გარდა, მათ ოსტატობაც საკმარისზე მეტი აღმოაჩნდათ. ნარინჯისფერებმა იმდენი მომენტი შექმნეს, რომ თავისუფლად შეეძლოთ ხუთი გოლის გატანა. საბოლოო შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ეს მატჩი იტალიისთვის კატასტროფად იქცა, მაგრამ სინამდვილეში, ეს ასე არ არის. ორივე გუნდი მოგებაზე თამაშობდა, უბრალოდ, ჰოლანდიელებმა საკუთარი მომენტები გამოიყენეს, იტალიელებმა - არა.

ახლა მთავარია, დონადონის ბიჭებმა სწრაფად დაივიწყონ დიდი ანგარიშით წაგება, თუმცა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება.

გია თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ინტერვიუ ფერნანდო ტორესთან

# ლუისი ძალიან გავაბრაზე

## ელ ნინიომ მთავარ მწვრთნელს ბოდიში მოუხადა და პირობა დადო, რომ ასე აღარასოდეს მოიქცევა

ესპანეთის ნაკრების სადებიუტო შეხვედრა საფეხბურთო მიმომხილველების სალაპარაკო თემად იქცა. მას შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ "სელექსიონის" ტრიუმფალურ გამარჯვებაზე ისევ აღმაფრენით საუბრობენ. მართალია, რუსების დამარცხებაში მთავარი როლი დავიდ ვილიამ შეასრულა, მაგრამ ყველა სპეციალისტი ერთხმად აცხადებს, რომ დავიდს თანაგუნდელების დახმარების გარეშე ამ შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდებოდა. როცა ვალენსიელის თანაგუნდელების დამსახურებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფერნანდო ტორესის ღვაწლს უნდა გავუსვათ ხაზი. "ელ ნინიომ" ფანტასტიკური დრიბლინგი განახორციელა, მცველი გააბითურა და ვილიას ცარიელი კარის წინ პასი მიაწოდა. ტორესი სხვა ეპიზოდებშიც გამორჩეული გახლდათ. პრესამ მისი თამაშიც საუცხოოდ შეაფასა. თითქოს, "ლივერპულის" ფორვარდს ბედნიერებისთვის ყველა საბაბი გააჩნდა, მაგრამ რუსეთთან მატჩმა ტორესი უკიდურესად უკმაყოფილო დატოვა. ამ უკმაყოფილების საბაბი ლუის არაგონესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდა. ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა 53-ე წუთზე ფერნანდო სესკ ფაბრეგასით შეცვალა. ის ამით უაღრესად აღშფოთებული დარჩა. საგულისხმოა, რომ მოედნიდან გასვლის შემდეგ ტორესმა მთავარ მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა. არაგონესს მან ბუზღუნით ჩაუარა, მაისურა მოისროლა და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. ამ ინციდენტს უდიდესი გამოხმაურება



ფერნანდო ტორესი და დავიდ ვილია

მოჰყვა. "ლივერპულის" სუპერფორვარდმა მეორე დღესვე მოიხადა ბოდიში, მაგრამ ესპანელ კორესპონდენტებს ეს არ ეყოთ და ტორესს საგანგებო პრესკონფერენციის გამართვა აიძულეს.

**- ტორეს, როგორ ხასიათზე ხარ?**

- ვიცი, დღეს რისთვისაც დამიბარეთ. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ შეცდომა ვაღიარე და ბოდიშიც მოვიხადე, თავს მაინც არ მანებებთ. უშუალოდ პირველ კითხვას რაც შეეხება, გეტყვით, რომ არაჩვეულებრივ ხასიათზე ვარ. "სელექსიონმა" სადებიუტო პაექრობა უმაღლეს დონეზე ჩაატარა და დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა. ჩემი აზრით, ეს წარმატება მომდევნო შეხვედრებშიც დაგვეხმარება. ყველა დამეთანხმებით, რომ ნაკრების ყველა ფეხბურთელი არნახულად ოპტიმისტურადაა განწყობილი.

**- როგორ ფიქრობთ, შთამბეჭდავი გამარჯვებისა და დამაჯერებელი ფეხბურთის დემონსტრირების შემდეგ ესპანეთი ევროპის ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად ალიქმევა?**

- არ ვიცი, ვინ როგორ აღგვიქვამს, მაგრამ მე ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიცია არ შემიცვლია. არ მინდა, რომ ესპანეთის ნაკრები ფავორიტად მიიჩნეოდეს. ეს ჩვენ ფსიქოლოგიურ წნეხში ჩაგვაგდებს. ასე რომ, ყველასთვის ჯობია, ემოციები მოვთოკოთ და ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვათ. რა თქმა უნდა, რუსეთის განადგურების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის შანსი გაიზარდა, მაგრამ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. მთავარი ბრძოლები წინ არის. მთავარია, რომ "სელექსიონი" მოტივირებულია და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

**- კარგი, ახლა მთავარ თემას მივხედოთ. რუსეთთან მატჩში შეცვლით რატომ გაცხარდით? ინფანტილიზმი ხომ არ გაწუხებთ?**

- ინფანტილიზმი არაფერ შუაშია. ტრიბუნაზე ან პრესლოჟაში მყოფი ადამიანისთვის ჩემი განკითხვა ძალიან იოლი საქმეა. თქვენ თამაშს თვალს ადევნებთ, მოედანზე კი ემოციები დუღს. ხშირად ოფლთან ერთად სისხლიც იღვრება. იდიოტი და უგულო თუ არ ხარ, ემოციების მძევალი გახდები. მით უმეტეს, ისეთ დაუვიწყარ შეხვედრაში, როგორიც რუსეთის ნაკრებთან ჩავატარეთ. არ დაგიმალავთ, მატჩის გაგრძელება მინდოდა. თამაში უზომო სიამოვნებას მანიჭებდა. წარმოიდგინეთ, დღეების უჭმელი რომ იყოთ და საჭმელებით დახუნძლული სუფრიდან პირველი ლუკმის გასინჯვის შემდეგ წაგიყვანონ. მიუხედავად ყველაფრისა, უფლება არ მქონდა, მატჩის შემდეგ ემოციები ასე ლიად და დაუფარავად გამომეხატა. კიდევ ერთხელ მოვიხდი ბოდიშს. მთელ ესპანეთს პატიებას ვთხოვ.

**- არაგონესმა თქვენი ბოდიში არ მიიღო და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაგატარათ. როგორი განწყობა დაგეუფლათ, როცა მთავარი მწვრთნელის განცხადებას გაეცანით?**

- ვაღიარებ, ლუისი ძალიან გავაბრაზე. მისი ძალიან კარგად მესმის. იდიოტობაა, როცა ფეხბურთელები შეცვლაზე სკანდალს აწყობენ, მის ადგილზე მეც ძალიან გავბრაზდებოდი. მართალი არ ვიყავი და შეცდომა გულწრფელად ვაღიარე.

**- გავიგეთ, რომ მთავარ მწვრთნელთან ურთიერთობა გაგიფუჭდათ...**

- ეტყობა, დღევანდელ ვარჯიშზე არ ყოფილხართ. ლუსი მამა-შვილურად გადამეხვია.

**- ეს შეიძლება, ფარისევლური ამბორი იყო. არაგონესი ვერ დაუშვებს, რომ თქვენი დაპირისპირების ფაქტი საჯაროდ გახმაურდეს.**

- არა, სენიორ, ჩვენ დაპირისპირებულები არ ვართ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ლუისი ძალიან გავაბრაზე, მაგრამ ერთი-ერთზე კაცურად ვიკაპარაკეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. არაგონესს ბოდიში მოვუხადე. მერწმუნეთ, "სელექსიონში" ღვთის მადლით, ყველაფერი რიგზეა. მწვრთნელს თვალდახუჭულები ვენდობით. ის უდიდესი გამოცდილების მქონე სპეციალისტია და მჯერა, ნაკრებში მუშაობას ტრიუმფით დაასრულებს.

**- თქვენს დემარშზე ფეხბურთელებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

- ბიჭებს არაფერი არ უთქვამთ. ალბათ, ყველამ გამიგო. ისინიც ხომ ფეხბურთელები არიან. ემოციებთან გამკლავება მათაც ძალიან უჭირთ. თუ დამიჯერებთ, ჩემი საქციელი აქტუალური აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის. მე პრობლემას აღარ შევქმნი. მთავარია, ეიფორიამ არ შეგვიპყროს. ეს დამღუპველი იქნება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ იურგენ კლინსმანთან

# დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა

## არც 2006 წლის მუნდიალის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შემდეგ ეგონა ვინმეს, რომ მსოფლიოს ჩემპიონი იტალია გახდებოდა

**ზუსტად** 18 დღეში მიუნხენის "ბაიერნი" შეიკრიბება და მომავალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს. როგორც იცით, გერმანიის მოქმედ ჩემპიონს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - ახალ სეზონში გუნდის დამრიგებელი იურგენ კლინსმანი იქნება, რომელმაც ამ პოსტზე ოტმარ ჰიტცფელდი შეცვალა. კლინსი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ელოდება. ის ევროპის ჩემპიონატს თვალყურს კალიფორნიიდან ადევნებს და ავსტრია/შვეიცარიაში ჩასვლაზე არც უფიქრია - ბუნდესგუნდის ყოფილი მწვრთნელი ვარ და ტრიბუნაზე რომ ვიჯდე, უაზრო დისკუსიები დაიწყებაო. აი, ასეთი ფრთხილია კლინსმანი. იურგენმა "ბაიერნის" ოფიციალურ ვებგვერდს ინტერვიუ მისცა, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით. მას მერე, რაც ბავარიულ გიგანტთან კონტრაქტი გააფორმა, ეს კლინსის პირველი ინტერვიუ გახლავთ.



იურგენ კლინსმანი ბაიერნის ქომაგებს გაბედნიერებას ჰპირდება

**- ჰერ კლინსმან, სად და როგორ ადევნებთ თვალს ევროპის ჩემპიონატს?**

- ყველა შეხვედრას ტელევიზორში ვუყურებ, ეს საუკეთესო საშუალებაა. გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ვარ და სტადიონზე რომ ვიარო, მაშინვე სულელური დისკუსიები დაიწყება. მირჩევნია, სახლში ვიჯდე და თამაშებს ტელევიზორში ვუყურო. თანაც, მატჩისთვის ანალიზის გაკეთება ასე უფრო იოლია.

**- უკვე მეორე ტური დაიწყო და ალბათ უკვე შეიძლება პირველი დასკვნების გაკეთება. ფავორიტებზე რას იტყოდით?**

- პირველ ტურში ფაქტობრივად ყველაფერი ვნახეთ, რაც ასეთ ტურნირებს ახასიათებს ხოლმე. ვნახეთ როგორც კარგი, ასევე ცუდი თამაშებიც, ფავორიტების გამარჯვებები და წაგებები. ვნახეთ შესანიშნავი გუნდები - ჰოლანდია, ესპანეთი და პორტუგალია. სამაგიეროდ, საფრანგეთმა და იტალიამ იმედები გამიცრუეს. ალბათ, ბანალურ რამეს ვამბობ, მაგრამ პირველი ტურის შემდეგ სერიოზული დასკვნების გაკეთება მაინც ნაადრევია. მუნდიალის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შემდეგ არავის უთქვამს, ფინალში ერთმანეთს საფრანგეთი და იტალია შეხვდებიან და ეს უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო. საინტერესო ის არის, რომ გუნდები, რომლებიც ანგარიშს ხსნიან, მერე აუცილებლად იგებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთში პირველი გოლი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

**- გერმანიის ნაკრებზე რას იტყვით (ინტერვიუ ჩაწერილია ხორვატიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების მატჩამდე - გ.ლ)?**

- იოახიმ ლიოვი კარგად მუშაობს, ბუნდესგუნდი კარგად გამოიყურება. გერმანიამ პოლონეთთან შესანიშნავად ითამაშა, ჩვენი გუნდის თამაშის ყურება ჩემთვის ერთი სიამოვნება იყო.

**- შეუძლია გერმანიას ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა?**

- იმედი მაქვს, რომ შეუძლია. მაგრამ შეგახსენებთ, რომ ტურნირი ორ ფაზადაა გაყოფილი: ჯგუფური ეტაპი და ფლეი-ოფი. ჯგუფიდან უძლიერესები გადიან, მერე კი ურთულესი მატჩები იწყება, სადაც ერთი შეცდომაც საკმარისია იმისათვის, რომ ყველაფერი დამთავრდეს. ფლეი-ოფში იღბალსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**- "ბაიერნის" ფეხბურთელებს ხშირად ურეკავთ ხოლმე?**

- რა თქმა უნდა. ვამაყობ იმით, რომ ევროპის ჩემპიონატზე "ბაიერნის" 10 ფეხბურთელი თამაშობს. ამით რეკორდმაისტერი ევროპულ გრანდებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. პირველ ტურში ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ფილიპ ლამმა დატოვა, პოლონეთთან ჩინებულად იასპარეზა მარსელ იანსენმაც, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა შეტევაში ერთვებოდა. დაცვაში კი პრობლემები ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ თანდათანობით ბასტიან შვაინშტაიგერი და მიროსლავ კლოზეც მოუმატებენ. ლუკას პოდოლსკიზე საუბარი კი ალბათ არც ღირს. პოლდის ასეთ წარმატებას გულით ვუსურვებდი და ძალიან მიხარია, რომ ასეთ კარგ ფორმაშია. დარწმუნებული გახლავართ, რომ ევროპის ჩემპიონატზე თავს ტიმ ბოროვსკიც გამოიჩენს და გერმანიის ნაკრებში თავის სიტყვას იტყვის.

**- "ბაიერნის" არაგერმანელ ფეხბურთელებზე რას გვეტყვით?**

- იტალიის მარცხში ლუკა ტონის ვერ დავადანაშაულებთ, რადგან რობერტო დონადონის გუნდს დაცვაში ჰქონდა პრობლემები. თორემ ტონის ცუდად არ უთამაშია და როგორც შეეძლო, დაიხარჯა. საფრანგეთის ნაკრებს ტაქტიკური პრობლემები ჰქონდა. ფრანკ რიბერიმ და ვილი სანიოლმა ვერაფერი გააწყვეს და ამის მიზეზი ის არის, რომ ფრანგებს რამსები ჰქონდათ არეული. ჰამით ალთინთოფმა თურქეთის ნაკრებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ის ნახევარმცველია და არა მცველი.

**- როგორც ვიცით, სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს აკვირდებით. "ბაიერნისთვის" ვინმე ხომ არ შეგირჩევიათ?**

- სან დიეგოში გახლდით, სადაც არგენტინისა და მექსიკის თამაშებს დავესწარი. იქ მარტინ დემიკელისსა და ხოსე ერნესტო სოსას შევხვდი. გარდა ამისა, ორი საათის განმავლობაში ვესაუბრე არგენტინის ნაკრების თავკაც ალფიო ბასილეს. როგორც იცით, ესპანურს ვსწავლობ და ვეცადე, ამ მხრივ პირველი პრაქტიკა მიმეღო.

**- ახალი სეზონისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყეთ. როგორ მიდის საქმეები?**

- მომავალი სეზონისთვის მზადება პირადად მე იანვარში დავიწყე. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებთ ვარჯიშებს. დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნის" ფანების გაბედნიერებას შევძლებ.

**გოტფრიდ ლენცი**

EURO 2008
ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილი ან გამარჯვება!

# დე როსი და დელ პიერო ძირითადში, ბარძალი და გატუზო სკამზე

**C ჯგუფი**

**იტალია-რუმინეთი**

ციურიხი. 13 ივნისი. 20:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, პანუჩი, კიელინი, გროსო, დე როსი, პირლო, ამბროზინი, კამორანეზი, დელ პიერო, ტონი.

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, ტამაში, გოიანი, რაცი, ნიკოლიცა, კოდრეა, კივუ, დიკა, დ. ნიკულაე, მუტუ.

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა **რობერტო დონადონი**, რომ რუმინეთთან მეორე ტურის მატჩი "სკუადრა აძურასთვის" გადამწყვეტი იქნებოდა. ჰოლანდიასთან წაგების (0:3) შემდეგ იტალიის ნაკრებმა თავი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაიყენა. "სიკვდილი ან გამარჯვება!" - ამგვარი მოწოდება ისმის აპენინელთა ბანაკიდან. დიახ, მხოლოდ გამარჯვება, რადგან ფრის შემთხვევაში, საფრანგეთთანაც (შესაძლოა, "ლურჯებიც" ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ) 3 ქულა იქნება საჭირო და ბუნებრივია, აქ ყოველგვარ გარანტიებზე ფიქრიც კი ზედმეტია...

თავის მხრივ, რუმინელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. ისინი ფავორიტები არ არიან. წნეხი მოხსნილია. **ვიქტორ პიცურკას** შეგირდებისგან გულშემატკივრები პირველ რიგში ღირსეულ თამაშს ითხოვენ. მეოთხედფინალში ვერგასვლის შემთხვევაში, მათ ანათემას არავინ გადასცემს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთთან ნულოვანი ფრე პიცურკას გუნდზე ზუსტ წარმოდგენას მაინც ვერ გვაძლევს. მოდით, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ სასტარტო მატჩებში გუნდები ყველა კოზირს არ იყენებენ. ძირითადი რესურსები მეორე ტურიდან გამოჩნდება. მაგალითად, იტალიის ნაკრებს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა შემადგენლობის კორექტირება და სწორედ იმ რეზერვების ამოქმედება, რაც დონადონის ნამდვილად გააჩნია. საქმე ისაა, როგორ გამოიყენებს მწვრთნელი მის ხელთ არსებულ საკადრო პოტენციალს.

თავისთავად, როცა პირველივე ტურის შემდეგ სასტარტო შემადგენლობის კორექტირება ხდება საჭირო, ეს მწვრთნელის ალღოზე კარგად ვერ მეტყველებს. მაგრამ ჯერ დაგვიანებული მაინც არაა და დონადონის აქვს შანსი, შეცდომები გამოასწოროს. იტალიური მედიის ინფორმაციით, **ალესანდრო დელ პიეროს** ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. ჰოლანდიასთან შეხვედრაში ის გვიან გამოჩნდა მოედანზე, თუმც თამაშის გამოცოცხლება მაინც შეძლო. არ მართლდება ვარაუდი, თითქოს სასტარტოში **ანტონიო კასანოიც** ითამაშებდა. ასეთ შემთხვევაში, დონადონის სქემა 4-3-3 უნდა ყოფილიყო. მაგრამ ის ვერ მისცემს თავს იმხელა ფუფუნების უფლებას, რომ სწრაფი რუმინელების წინაალმდეგ ნახევარდაცვაში 3 მოთამაშე დააყენოს. "დონი" 4-4-2-ს გამოიყენებს.

მან გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი და ცვლილებას შუა ხაზშიც გეგმავს. **ჯენარო გატუზოს** ნაცვლად, საყრდენად **დანიელე დე როსის** ვიხილავთ. თუმც ბევრი **მასიმო ამბროზინის** ამოგდებას ელოდა. "მილანის" ნახევარმცველი პირველ მატჩში ძალიან სუსტი იყო. ცვლილებებია მოსალოდნელი დაცვაშიც. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ექსპერტებმა დაიწუნეს, **ანდრეა ბარძალი** იყო. **ფაბიო კანავაროს** გარეშე ის თითქმის არაფერს წარმოადგენსო, წერდა "გაძეტა დელო სპორტი". ახლა, დონადონი დაცვის ცენტრში **კრისტიან პანუჩისა** და **ჯორჯო კიელინის** დაყენებას აპირებს. ფლანგებზე კი ის ვარიანტი იქნება, რაც ჰოლანდიასთან შეხვედრის მეორე ნახევარში: მარჯვნივ **ჯანლუკა ძამბროტა**, ხოლო მარცხნივ **ფაბიო გროსო**.

რუმინელთა რიგებში მხოლოდ იძულებით ცვლილებებს უნდა ველოდოთ. იტალიის ნაკრებისთვის მთავარი რისხვა იქნება ფიორენტინელი **ადრიან მუტუ**, რომელიც "სკუადრა აძურას" ბიჭებს ხუთი თითივით იცნობს, თუმც იტალიელებმაც კარგად უწყიან რუმინელთა დამრტყმელი ძალის პლუს-მინუსი. მუტუს გარდა, აპენინებზე მოთამაშე კარპატელთაგან სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან კაპიტანი **კრისტიან კივუ** ("ინტერი") და **პაულ კოდრეა** ("სიენა"). ინტერელი საყრდენ ნახევარმცველად გამწესდება.

რაც შეეხება იძულებით ცვლილებას, ეს იქნება "შტუტგარტის" ფორვარდი **ჩიპრიან მარიკა**, რომელიც ერთ-ერთ ვარჯიშზე სერიოზულად დაშავდა და ჰოსპიტალშიც კი მოხვდა. მარიკა უკეთაა, მაგრამ არა ისე, რომ თამაში შეძლოსო, აცხადებს რუმინეთის ნაკრების ექიმი. პიცურკა მის ნაცვლად, ალბათ, **დანიელ ნიკულაეს** დააყენებს.

დიდ ტურნირებზე იტალია და რუმინეთი ბოლოს ევრო 2000-ის მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. **ფრანჩესკო ტოტისა** და **ფილიპო ინძაგის** გოლებით "სკუადრა აძურამ" 2:0 გაიმარჯვა. ამის შემდეგ, ისინი კიდევ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. 2002 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპზე იტალიამ 3:0 და 2:0 მოიგო, 2003 წელს გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში კი 1:0.



# ანრი და ვიეირა მზად არიან, რობენიც

**C ჯგუფი**

**ჰოლანდია-საფრანგეთი**

ბერნი. 13 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ბელარუზი, ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი, ენგელაარი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, კუიტი, ვან ნისტელროოი.

**საფრანგეთი:** კუპე, კლერი, ტურამი, გალასი, აბიდალი (ან ევრა), ვიეირა, მაკელელე, მალუდა, რიბერი, ბენზემა, ანრი.

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ჰოლანდიის ეროვნული გუნდი ლიდერის სტატუსით ხვდება მატჩს, რომელშიც უნდა დაამტკიცოს, რომ იტალიის ნაკრების რბევა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ამ დღეებში, **მარკო ვან ბასტენის** გუნდს უამრავი ქათინაური უძღვნეს. არის საშიშროება, რომ... თავში აუვარდეთ არა, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, ფრანგებმა დასაჯონ. ამიტომ, ვან ბასტენს ყველაზე მეტი სამუშაო ფსიქოლოგიური განხრით ექნებოდა. რას ვიზამთ, მძიმეა ფავორიტის ტვირთი. ჰოლანდია ისედაც იყო ერთ-ერთი ფავორიტი, მაგრამ "სკუადრა აძურას" განადგურების შემდეგ მასზე გაცილებით მეტი ავანსი გაიცა.

რაღა ვთქვათ ფრანგებზე, რომელთა ფავორიტობა უკვე ერთგვარი კრედოა. მაგრამ რუმინეთთან ჩატარებული მატჩით თუ ვიმსჯელებთ, **რაიმონ დომენეკს** ერთი ჩვეულებრივი გუნდი ჰყავს. და ასეა ვითომ? რა თქმა უნდა, არა. საფრანგეთი ძლიერია. მაგრამ ეს სიძლიერე ჯერ არ ჩანს. პირველი მატჩი მაინც სპეციფიკურია და ეტყობა, დომენეკმა ბიჭები ვერ დარაზმა. ფრანგული პრესა კი ცვლილებებს ითხოვს. გაზეთებმა "ლურჯები" სასტიკად გააკრიტიკეს. ისე კი, გასათვალისწინებელია, რომ რუმინეთთან **პატრიკ ვიეირასა** და **ტიერი ანრის** არ უთამაშიათ. ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ორი ამხელა ფიგურის არყოფნა ნებისმიერ გუნდზე იმოქმედებდა.

ახლა, დომენეკს შეუძლია, შედარებით მშვიდად იყოს. ერთიც და მეორეც გამოჯანმრთელდა და ჰოლანდიასთან საბრძოლველად ემზადება. ისე, თუ გადავხედავთ განვლილ სეზონს, არც ვიეირასა და არც ანრის კარგად გასახსენებელი ბევრი არაფერი აქვთ. ჰოდა, საკითხავია, როგორ ფორმაში არიან ისინი.

რაც შეეხება ცვლილებებს. დომენეკს არ უყვარს რევოლუციები. მას ყოველთვის მცირე დოზით მიმართავს კორექტივებს, რაკი მიაჩნია, რომ სხვანაირად, სტაბილურობას ვერ მიაღწევს. მართალიცაა. მაშინ, მან სხვა რეზერვები უნდა მონახოს. "ლურჯებს" გამოცოცხლება სჭირდებათ. და სად არის ეს რეზერვი? მცირე კორექტივი შეიძლება იყოს **პატრის ევრა** ბარსელონელი **ერიკ აბიდალის** ნაცვლად. მანჩესტერელი უფრო შემტევი მცველია და იქნებ, მოსიე რაიმონმა სწორედ ამაზე გააკეთოს გათვლა.

ანალოგიური ვითარებაა დაცვის მარჯვენა ფლანგზეც, სადაც **ვილი სანიოლმა** არც თუ სახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა. "ბაიერნის" მცველი, შეიძლება, ლიონელმა **ფრანსუა კლერმა** ჩაანაცვლოს. ვიეირასა და ანრის დაბრუნება კი იმას ნიშნავს, რომ **ჟერემი ტულალანი** და **ნიკოლა ანელკა** სკამზე გადაინაცვლებენ. ძირითადში მოხვედრის იმედი აქვთ **სიდნი გოვუსა** და **სამირ ნასრისაც**, მაგრამ ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება ვან ბასტენს, ბუნებრივია, ცვლილებებისთვის მას საფუძველი არ აქვს, და არც შეიძლება ცვლილება, რადგან ეს დაარღვევდა იმ ჰარმონიას, რაც დღესდღეობით მის გუნდში სუფევს. რაც შეეხება სიახლეს, ჰოლანდიელებს გამოუჯანმრთელდათ მარცხენა გარემარბი **არიენ რობენი**, მაგრამ ჯერჯერობით, ძირითადში მისი ადგილი არ არის. გამოცდილი მარჯვენა მცველი **მარიო მელხიოტი** კი ჯერაც სამკურნალოა.

ფრანგებსა და ჰოლანდიელებს ურთიერთშეხვედრათა მდიდარი ისტორია აქვთ. ოფიციალურ მატჩებში ისინი 21-ჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. უპირატესობა "ნარინჯისფრების" მხარესაა - 9 მოგება. ფრანგებმა 8-ჯერ დაამწუხრეს მეტოქე, 4 მატჩიც ფრედ დასრულდა. ხაზგასასმელია ჰოლანდიელთა აშკარა უპირატესობა ბურთის სხვაობაში - 47:34. ბოლოს ისინი 2004 წელს, ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს - 0:0.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ 1981 წლის სპარინგმატჩის შემდეგ, ჰოლანდიელებმა ფრანგები მხოლოდ ერთხელ დაამარცხეს. დიდ ფორუმზე ისინი ერთმანეთს უკანასკნელად 2000 წელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შეხვდნენ. "ტიტებმა" 3:2 მოიგეს. მაშინდელი შემადგენლობიდან ფრანგებს დღეს ვიეირა და ანელკა ჰყავთ. მანამდე, 1996 წლის ევროპირველობაზე, საფრანგეთმა ჰოლანდია უსახური მეოთხედფინალიდან გამოთიშა (0:0, პენ 6:5). იმ გუნდიდან "ლურჯებში" დღეს **ლილიან ტურამი**, ჰოლანდიელთა შორის კი **ედვინ ვან დერ სარი** თამაშობს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| იტალია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |



EURO 2008

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დოიჩლანდ კაპუტ!

## იოგი, ეს კატასტროფა იყო!

**B ჯგუფი**

**ხორვატია-გერმანია 2:1**

კლაგენფურტი. 12 ივნისი

**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, პრანიიჩი, სრნა (80. ლეკო), ნ. კოვაჩი, კრანჩარი (85. კნეჟევიჩი), მოდრიჩი, რაკიტიჩი, ოლიჩი (72. პეტრიჩი).

**გერმანია:** ლემანი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, იანსენი (46. ოდონკორი), ფრიტცი (82. კურანი), ფრინგსი, ბალაკი, პოდოლსკი, კლოზე, გომესი (65. შვაინშტაიგერი).

**გოლები:** 1:0 სრნა (24), 2:0 ოლიჩი (62), 2:1 პოდოლსკი (79)

**გაძევება:** ბასტიან შვაინშტაიგერი (92)

**მაყურებელი:** 30 000

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

სტატისტიკა

| ხორვატია | | გერმანია |
|---|---|---|
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 12 (8) | დარტყმა | 7 (2) |
| 10 | ჯარიმა | 16 |
| 7 | კუთხური | 6 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |



დარიო სრნა ანგარიშს ხსნის

**მარიო ბასლერმა**, რომელიც "ბილდის" მესვეტეა, თამაშის წინ თქვა, წინასწარ ვიცი, ხორვატები ფეხებში გვირტყამენ, ჩვენ კი მათ კარში ვურტყამთ და მჯერა, 3:0-ს მოვიგებთო. არ გამართლდა სუპერმარიოს პროგნოზი. ხორვატებმა გერმანელებს ფეხებშიც ურტყეს, კარშიც და თავშიც - **სლავენ ბილიჩის** სრულყოფილად მოთამაშე გუნდმა, არეულ-დარეულ, დონდლო გერმანიას კარგი გაკვეთილი ჩაუტარა. რა დაემართა ბუნდესგუნდს? რატომ ითამაშეს **იოახიმ ლიოვის** შეგირდებმა ასე ცუდად? ამ კითხვას პასუხი მომავალში გაეცემა. მანამდე კი ფაქტი ის არის, რომ გერმანელები ჯგუფში პირველ ადგილს, ალბათ, ველარ დაიკავებენ და ბოლო ტურში, ავსტრიასთან ერთგვარი ფინალიც კი ელით. არადა, პოლონეთთან მოგებული მატჩის შემდეგ გერმანელებმა ტრადიციისამებრ აფრები აუშვეს - **ბეკენბაუერი** ამბობდა, არავისი არ უნდა გვეშინოდესო, აგერ, თვით მუდამ კრიტიკულად განწყობილმა ბასლერმაც კი თქვა, 3:0-ს მოვიგებთო და საერთოდ, გერმანიაში ოპტიმისტური განწყობა იყო. მაგრამ ხორვატია "დიდი გოთვერანი" გუნდია. ეს ბილიჩის სამწყსომ ერთხელ უკვე დაამტკიცა, როცა ინგლისი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა. ხორვატებმა ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც უნდა გაეკეთებინათ - ბილიჩის ბიჭებს ეტყობოდათ, რომ საქმე იცოდნენ. შესაბამისად, მათი გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. თავად განსაჯეთ, ხორვატიამ მრისხანე მეტოქეს თითქმის არაფერი გააბედინა, თუ არ ჩავთვლით **პოდოლსკის** გოლს. ეს იყო ერთადერთი მომენტი, როცა ხორვატ მცველებს ჩაეძინათ. გერმანელ მცველებს კი... **პერ მერტეზაკერი** და **კრისტოფ მეტცელდერი** მთელი თამაშის განმავლობაში ოცნებობდნენ. ძალიან სუსტი გახლდათ **მარსელ იანსენიც**. ერთადერთი გერმანელი, რომელმაც შეხვედრა ღირსეულად ჩაატარა, **ფილიპ ლამი** იყო, მაგრამ მარტო ლამი რომ არ კმარა, ესეც ფაქტია.

სლავენ ბილიჩმა ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ ერთ პოზიციაზე შეცვალა - დორტმუნდელი **პეტრიჩის** ნაცვლად, შალკელი **რაკიტიჩი** ათამაშა. ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** კი იგივე შემადგენლობას ენდო, რომლითაც პოლონეთს 2:0 მოუგო.

რაკი ხორვატებმა თამაში მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდით დაიწყეს, მოედნის ცენტრი გადატვირთული იყო და იქ უპირატესობას თავიდანვე ბილიჩის გუნდი დაეუფლა. გერმანელები კი ხეირიანი კომბინაციების გათამაშებას ვერ ახერხებდნენ. ხორვატებს დაცვაში ჩადგომა არც უფიქრიათ. როგორც ბილიჩმა მატჩის წინ თქვა, შეტევაზე იყვნენ ორიენტირებულები და მე-17 წუთზე პირველი რეალური მომენტიც შექმნეს. **სრნას** კუთხურის შემდეგ, **შიმუნიჩმა** ბურთს თავით მიმართულება შეუცვალა, მაგრამ შორეულ ძელთან ბურთს არავინ დახვდა.

გერმანელები მეტოქის საჯარიმოსთან ნორმალური კომბინაციის გათამაშებას ვერ ახერხებდნენ. ლიოვის შეგირდები ორთაბრძოლების დიდ ნაწილს მოედნის ცენტრშივე აგებდნენ, სადაც ხუთი ხორვატი მოქმედებდა. აი, სწორედ აქ აჯობა ბილიჩმა ლიოვს. 24-ე წუთზე ხორვატებმა ანგარიში გახსნეს. მარცხენა ფლანგზე **პრანიიჩმა** გაინავარდა და მოხდენილად ჩააწოდა. იანსენს ჩაეძინა და სრნას დარტყმის საშუალება მისცა. ამ უკანასკნელმაც ბურთს ფეხი დაუხვედრა და ანგარიში გაიხსნა.

გერმანელები ოდნავ გამოფხიზლდნენ და ზუსტად ორ წუთში **მარიო გომესს** წონასწორობის აღდგენა მართებდა, მაგრამ შტუტგარტელის თავური დარტყმა **პლეტიკოშას** კარს მცირე მანძილით ასცდა. მიუხედავად ამ მომენტისა, გერმანელებს ვერ შევაქებთ. ლიოვის გუნდი ძალიან უნიათოდ გამოიყურებოდა - ალემანები ფაქტობრივად ვერაფერს ახერხებდნენ. მეტიც, ხორვატები გაცილებით სტაბილურად თამაშობდნენ და ანგარიშის გაზრდის შანსებიც მიეცათ. მაგალითად, 31-ე წუთზე **კრანჩარს** ჰქონდა კარგი მომენტი. თუ არ ჩავთვლით **ბალაკის** ჯარიმას და მეტცელდერის თავურ დარტყმას, შესვენებამდე გერმანიას არაფერი გაუკეთებია. 42-ე წუთზე კი **ლემანმა** ბუნდესგუნდი მეორე გაშვებული გოლისგან იხსნა, როცა კრანჩარის დარტყმა შესანიშნავი რეაქციით მოიგერია.

შესვენებაზე ლიოვმა პირველ ცვლილებას მიმართა: იანსენის ნაცვლად მოედანზე **ოდონკორი** შეუშვა, რომელმაც მარჯვენა ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა. იქიდან, **კლემენს ფრიტცმა** მარჯვენა მცველის პოზიციაზე გადაინაცვლა, ლამმა კი მარცხნივ, იანსენის ადგილი დაიკავა. იოგიმ 65-ე წუთზე მოედანზე **შვაინშტაიგერიც** შეიყვანა (გომესის ნაცვლად). ეს უკანასკნელი პოდოლსკის ადგილზე დადგა, პოლდიმ კი თავდასხმაში გადაინაცვლა და **კლოზეს** ამოუდგა მხარში. აქვე ვიტყვით, რომ ასეთი სუსტი კლოზე არასდროს გვინახავს. მირო საერთოდ არ ჩანდა.

გერმანელები ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ასე რომ, ხორვატების მეორე გოლი აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ: რაკიტიჩმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი პოდოლსკის მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ლემანის კარისკენ წავიდა. ამ უკანასკნელმა რეაგირება ველარ მოასწრო, ბურთი ძელს მოხვდა და პირდაპირ ოლიჩს მიუვიდა, რომელმაც ცარიელი კარი დალაშქრა. სად იყვნენ ამ დროს მეტცელდერი და მერტეზაკერი? თვლემდნენ.

მეორე გოლის შემდეგ გერმანია აფეთქდა. ლიოვის შეგირდები უკანმოუხედავ იერიშებზე გადავიდნენ, მაგრამ მაინც აკლდათ რაღაც, რაც თამაშის შემოტრიალების საწინდარი იქნებოდა. 73-ე წუთზე შვაინშტაიგერმა ძლიერად, მაგრამ უშედეგოდ დაარტყა, ხორვატებმა კი ნელ-ნელა უკან დაიხიეს და ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. 79-ე წუთზე გერმანიამ ერთი ბურთი გაქვითა. გოლი ხორვატი მცველების შეცდომას მოჰყვა: ბალაკმა ბურთი საჯარიმოსკენ თავით გაგზავნა, **რობერტ კოვაჩმა** ხეირიანად ვერ მოიგერია, ბურთი პოდოლსკის მიუვიდა, რომელმაც უძლიერესი დარტყმით პლეტიკოშას შანსი არ დაუტოვა - "პრინცი პოლდის" მესამე გოლი ევროპის ჩემპიონატზე.

მაგრამ ხორვატებს მეტი შეცდომა აღარ დაუშვიათ, დაცვაში კომპაქტურად ჩადგნენ და ანგარიში შეინარჩუნეს. პირიქით, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე, როდესაც ხორვატები აუტის ხაზთან ბურთს ათამაშებდნენ და დროის გაყვანას ცდილობდნენ, შვაინშტაიგერმა ნერვები ველარ მოთოკა და მას მერე, რაც **ლეკომ** ფეხებში ორჯერ უთავაზა, გამჩარებულმა შვაინიმ ხორვატს ხელი ჰკრა, რის გამოც წითელი ბარათი აუფრიალეს. ეს მატჩის ბოლო აკორდი გახლდათ - ბილიჩმა სიტყვა შეასრულა და გერმანიას მოუგო. ბუნდესგუნდს კი, მეოთხედფინალში პორტუგალიასთან შეხვედრის პერსპექტივა აქვს.

**მატჩის შემდეგ**

**სლავენ ბილიჩი** (ხორვატია): *"ძალიან კარგად ვითამაშეთ, გერმანელებს არაფერი გავაბედინეთ. ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. თითოეულმა მათგანმა მაქსიმუმი გააკეთა. ამიტომაც მოვუგეთ გერმანიას."*

**იოახიმ ლიოვი** (გერმანია): *"დღეს ვერცერთმა ფეხბურთელმა ვერ ითამაშა ისე, როგორც უნდა ეთამაშა. პირველ 15 წუთში არც ტემპი გვივარგოდა და არც მონდომება. გოლი გავუშვით და მაინც ვერ მოვუმატეთ, ჩვენი თამაში ვერ ვიპოვეთ. რამდენადაც კარგად ვითამაშეთ პოლონეთთან, იმდენად ცუდად გამოვიყურებოდით დღეს, ხორვატიასთან. თავდასხმა ნახევარდაცვასა და დაცვას აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო. შვაინშტაიგერს მეტოქისთვის არ დაურტყია, მაგრამ ხელი ჰკრა და მინდორზე დააგდო, რის გამოც მისი გაძევება სამართლიანია. არადა, თამაშის წინ ბიჭებს ვეუბნებოდი, პროვოკაციებს ადგილი ექნება და ნუ აყვებით.-მეთქი."*

**გოტფრიდ ლენცი**

# არაფრის მომცემი ფრე

## ავსტრიასა და პოლონეთს სასწაული თუ უშველით

**B ჯგუფი**

**ავსტრია-პოლონეთი 1:1**

ვენა. 12 ივნისი

**ავსტრია:** მახო, გარიჩი, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეტცი, ლაოტგები, აუფჰაუზერი (73. შაუმელი), ივანშიტცი (63. ვასტიჩი), ქორქმაზი, ჰარნიკი, ლინცი (63. კიენასტი).

**პოლონეთი:** ბორუცი, ვასილიევსკი, იოპი (46. გოლანსკი), ბაკი, ჟევლაკოვი, დუდკა, ლევანდოვსკი, კრჟინოვეკი, გერეირო (84. მურავსკი), საგანოვსკი (82. ლობოძინსკი), სმოლარეკი.

**გოლები:** 0:1 გერეირო (29), 1:1 ვასტიჩი (93-პენ).

**მაყურებელი:** 51428

**მსაჯი:** ჰოვარდ უები (ბრიტანეთი).

სტატისტიკა

| ავსტრია | | პოლონეთი |
|---|---|---|
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| (14) 6 | დარტყმა | 10 (14) |
| 13 | ჯარიმა | 23 |
| 9 | კუთხური | 8 |
| 53 | ბურთის ფლობა | 47 |



იმას, რაც პოლონეთის ნაკრებს შეემთხვა ტრაგედია ჰქვია და სხვა არაფერი. როგორი საქმეა, **ლეო ბეენჰაკერის** გუნდს გამარჯვება ბოლო წამს ამოაცალეს ჯიბიდან. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ავსტრიელები წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდნენ. მასპინძლებმა პირველ ტაიმში უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ პოლონელებისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ისინი უმნიშვნელოვანესი გამარჯვების აღნიშვნისთვის ემზადებოდნენ, როცა **ლევანდოვსკიმ** საჯარიმო მოედანში **პრიოდლი** წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტი აიკიდა. 11-მეტრიანის შესრულება ავტრიელთა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა ითავა. **ივიცა ვასტიჩმა** აუღელვებლად დაარტყა და საკუთარ გუნდს პირველი ქულა შესძინა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრის შედეგზე ორივე გუნდის ბედი იყო დამოკიდებული. წაგება სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა, თუმცა მოდით სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ ავსტრიელებსა და პოლონელებს ქულების გაყოფამაც ვერ უშველა. მართალია, ამ გუნდებს მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი არ დაუკარგავთ, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, რომ გერმანიას საფრთხე დაემუქროს. ხორვატიას კი თავი უკვე ქუდში აქვს. ერთი სიტყვით, მართლა ძნელი წარმოსადგენია, **იოახიმ ლიოვის** ბიჭებმა ავსტრიასთან ბოლო ტურის ორთაბრძოლა დათმონ.

**იოზეფ ჰიკერსბერგერი** შეგირდებს პოლონელებთან საბრძოლველად განსაკუთრებული შემართებით ამზადებდა. სატურნირო ინტერესებს თავი რომ დავანებოთ ავსტრიას პოლონეთი 1994 წლის შემდეგ არ ჰყავდა დამარცხებული. გუშინდელი მატჩი ნავსის გასატეხად საუკეთესო შანსი იყო, მაგრამ შანსი გამოუყენებელი დარჩა. პარადოქსულია, თუმცა მასპინძლებმა პირველ ნახევარში უთვალავი მომენტი ვერ გამოიყენეს. ამასობაში, კი პოლონელებმა, ფაქტობრივად ერთხელ დაარტყეს და გაიტანეს კიდეც. **მახოს** საჯარიმოში **გერეირო** შეიპარა, მცველების უყურადღებობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ჰიკერსბერგერისთვის ეს უდიდესი შოკი იქნებოდა. სტუმრები **ბორუცს** უნდა უმადლოდნენ, რომ პირველ ნახევარში კატასტროფას გადაურჩნენ.

**მატჩის შემდეგ**

იოზეფ ჰიკერსბერგერი: *"პირველი ტაიმის 20-30 წუთის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ვფლობდით. ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რომ ამდენი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ბორუცმა სასწაულები ჩაიდინა, თუმცა ჩვენს ფორვარდებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ნამდვილად მოვიგებდით. ჩემი აზრით, პოლონელებმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანეს. ყოველ შემთხვევაში ჩემი სავარძლიდან ასე დავინახე. პენალტი კი 100-პროცენტიანი გახლდათ. ვფიქრობ, ჩემმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ იღბალმა დღესაც ზურგი გვაქცია."*

**ლეო ბეენჰაკერი:** *"ყოველთვის დასანანია, როცა მოგებამდე აღარაფერი გაკლია და გოლს გიტანენ. ვაღიარებ, მასპინძლებმა ბევრი მომენტი შექმნეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ გამარჯვებას მაინც ჩვენ ვიმსახურებდით."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| ავსტრია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

**III ტური**

16 ივნისი, ორშაბათი

**ვენა**

ავსტრია-გერმანია

**კლაგენფურტი**

პოლონეთი-ხორვატია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# სკოლარი სამი წლით

## ბრაზილიელს 15 მილიონ გირვანქას გადაუხდიან, აბრამოვიჩი ტრანსფერებში 100 მილიონს დახარჯავს...

როგორც უკვე გაუწყეთ, **ლუიშ ფელიპე სკოლარი** "ჩელსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მას ტრანსფერებისთვის 100 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. დიდი ფილი ლონდონელებთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ბრაზილიელს წლიურად 5 მილიონ გირვანქას გადაუხდიან.

სკოლარი შემადგენლობის გაძლიერებას **დეკუს** შეძენით დაიწყებს. უცნობია, რა თანხას მიუთვლიან "ბარსელონას". ესპანური სააგენტოების მტკიცებით, ფეხბურთელი 10 მილიონი გირვანქა ეღირება. სხვა სასურველი ფეხბურთელები არიან ვალენსიელი თავდამსხმელი **დავიდ ვილია** (32 მილიონი გირვანქა), მილანელი ნახევარმცველი **კაკა** (50 მილიონი) და ბარსელონელი თავდამსხმელი **სამუელ ეტოო** (16 მილიონი)

მწვრთნელი წამყვანი მოთამაშეების შენარჩუნებასაც შეეცდება. გადაწყვეტილია, რომ "არისტოკრატები" ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ **რიკარდო კარვალიოს**. პორტუგალიელ მცველს კვირაში 100 ათას გირვანქას გადაუხდიან.

ინფორმაცია სკოლარის "ჩელსიში" დანიშვნის შესახებ, პორტუგალია-ჩეხეთის მატჩის შემდეგ გავრცელდა. კარვალიომ სიხარული ვერ დამალა: "*გვესმოდა ხმები, რომ მის მიწვევას აპირებდნენ. არ მეგონა, თუ საკითხი ასე სწრაფად გადაწყდებოდა.*"

30 წლის დეკუს "ბარსელონიდან" წასვლა სურს. მან ბოლო სეზონი საკმაოდ სუსტად ჩაატარა. სკოლარის დეკუს კვალიფიკაციაში ეჭვი არ ეპარება: "*ევროპის ჩემპიონატზე მისი დონის მხოლოდ ერთი ფეხბურთელი თამაშობს — ჰოლანდიელი ვესლი სნეიდერი. დეკუ მამაცი ფეხბურთელია. ის ნამდვილი ვირტუოზია.*"

"სანის" ცნობით, რომან აბრამოვიჩი სკოლარის ჟენევაში შეხვდა. მხარეები იოლად შეთანხმდნენ. მწვრთნელმა ითხოვა, ინფორმაცია ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე არ გახმაურებულიყო. ინგლისური ტაბლოიდებისგან ამ ამბის დამალვა არ მოხერხდა. ამიტომ "ჩელსიმ" ცნობა ჩეხეთთან მატჩის დასრულებისთანავე გაავრცელა.



ლუიშ ფელიპე სკოლარი

სკოლარის კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. მხარეები ხელშეკრულებას ივლისის დასაწყისში მოაწერენ ხელს. მიმომხილველები იხსენებენ 2006 წლის ზაფხულს. დიდი ფილი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასაც შეუთანხმდა, მაგრამ ბოლოს პორტუგალიაში დარჩენა გადაწყვიტა.

"სანმა" სკოლარის შესახებ საინტერესო ანკეტა შეადგინა. ინგლისურმა ტაბლოიდმა მასში ათ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს მოუყარა თავი.

**1.** მას ფილი არ ჰქვია. მისი სრული სახელია ლუიშ ფელიპე სკოლარი.

**2.** ის არ არის დიდი, ყოველ შემთხვევაში, სულაც არ არის ისეთი დიდი, როგორებიც **სემ ელერდაისი, რონ ატკინსონი,** ან **ავრამ გრანტი** არიანო.

**3.** მან ერთხელ მეტოქის ფეხბურთელს მუშტი უთავაზა. ეს ინციდენტი 2006 წლის მუნდიალისას მოხდა. სერბეთთან მატჩისას, სკოლარიმ თავი ვერ შეიკავა და **ივიცა დრაგუტინოვიჩს** გასცხო.

**4.** მართალია, ის ბრაზილიაში დაიბადა, მაგრამ იტალიის მოქალაქეა. სკოლარიმ იტალიური პასპორტი 2002 წლის ზაფხულში მიიღო — იმ წელს, როდესაც პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

**5.** 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, მან ბრაზილიის ნაკრების თითოეულ მოთამაშეს ჩინელი ფილოსოფოსის, სუნ ძის "ომის ხელოვნება" წააკითხა. მწვრთნელის მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო. ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**6.** სკოლარიმ ეს ტაქტიკა 2006 წლის მუნდიალზე, პორტუგალიის ნაკრებშიც გამოიყენა. პორტუგალიელებმა ნახევარფინალში გააღწიეს. "სანი" **ჯონ ტერისა** და **ეშლი კოულს** ამ წიგნის გადაკითხვას ურჩევს.

**7.** 2006 წლის ზაფხულში სკოლარი ინგლისის ნაკრებში დანიშვნის რეალური კანდიდატი იყო. საბოლოოდ, ინგლისი დიდი ფილის ნაცვლად პატარა **სტივ მაკლარენს** ჩააბარეს და გუნდი ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

**8.** "*იესო გვასწავლის, მეორე ლოყა მიუშვირეთო. სამწუხაროდ, ფიგუ იესო არ არის,*" — სკოლარიმ ეს კომენტარი 2006 წლის მუნდიალზე, ჰოლანდიასთან ნამატჩევს გააკეთა

**9.** სკოლარის სამწვრთნელო კარიერა 25 წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში მან 19 სამსახურის შეცვლა მოასწრო.

**10.** სერ ლუიშ ფელიპე ინგლისურად ძალიან ცუდად საუბრობს, თუმცა მერე რა? — კითხულობს "სანი". ინგლისური "ჩელსის" ფეხბურთელების უმრავლესობამაც ძალიან ცუდად იცის.

ამგვარად, ლუიშ ფელიპე სკოლარი მეოთხე მწვრთნელია, რომელიც აბრამოვიჩის "ჩელსიში" იმუშავებს. 2003 წლის ზაფხულში, როდესაც რუსმა ოლიგარქმა ლონდონური კლუბი შეიძინა, გუნდის თავკაცი **კლაუდიო რანიერი** იყო. მან გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა, თუმცა "მონაკოსთან" ორი მატჩის ჯამში 3:5 წააგო და 2004 წლის ზაფხულში კარისკენ მიუთითეს.

2004-ში, "ჩელსიში" **ჟოზე მოურინიო** დაინიშნა. მან გუნდში სამი წელიწადი გაატარა და ორჯერ პრემიერლიგა, ორჯერ ასოციაციის თასი, თითოჯერ ინგლისის ლიგის თასი და სუპერთასი (ქომიუნითი შილდი) მოიპოვა. ამას გარდა, გუნდი ორჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში. ის გასული წლის სექტემბერში, აბრამოვიჩთან უთანხმოების გამო გაათავისუფლეს.

მისი ადგილი **ავრამ გრანტმა** დაიკავა. ებრაელმა მწვრთნელმა "ჩელსი" კლუბის ისტორიაში, პირველად გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, სადაც მანჩესტერ იუნაიტედთან დამარცხდა. მან ინგლისის ჩემპიონობაც "იუნაიტედს" გადაულოცა, რის გამოც სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვა თანამდებობას.

ახლა სკოლარის ჯერია. ბრიტანული ტოტალიზატორები ფელიპაოს პორტუგალიას ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ — ფსონი 4/1. მისი დანიშვნისთანავე ბუქმეიქერებმა 2/1-დან 7/4-მდე შეამცირეს ფსონი "ჩელსის" გაჩემპიონებაზე პრემიერლიგის მომავალ გათამაშებაში.

ლივერპული

# ჩაბი ალონსო ევროს შემდეგ გადაწყვეტს

## ბენიტესმა სია ჩამოწერა: ბერი, მილნერი, ბენდტნერი

**რაფა ბენიტესი** ორ ნახევარმცველს, **გარეთ ბერისა** და **ჯეიმს მილნერს** ყიდულობს. ნიუკასლელი მილნერი 7 მილიონი გირვანქა ღირს. "ლივერპულმა" ჯორდებს მილნერისა და **ჯერმეინ პენანტის** გაცვლა შესთავაზა. მერსისაიდელები კიდევ რამდენიმე მილიონს დაუმატებენ.

მილნერმა "ნიუკასლთან" ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი ორი თვის წინათ გააფორმა. ჯორდების ბოს **მაიკ ეშლის** შემადგენლობის გასაძლიერებლად ფული სჭირდება. ამიტომ რამდენიმე იმედისმომცემ ფეხბურთელს ყიდის, მათ შორის, მილნერსაც.

"ასტონ ვილა" ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ბერი შეინარჩუნოს. ბირმინგემელებმა კაპიტანი 20 მილიონ გირვანქად შეაფასეს. "ლივერპული" 15 მილიონს იხდის და მზადაა, კიდევ სამი მილიონი გამონახოს. ბერის "ენფილდზე" გადასვლა უნდა.

რაც შეეხება პენანტს, მისი ლივერპულური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. ბენიტესმა ის 2006 წლის ზაფხულში, "ბირმინგემ სიტიდან" შეიძინა. ორი თვის წინათ, პენანტი "ასტონ ვილასაც" შესთავაზეს — პენანტი და 10 მილიონი ბერის სანაცვლოდ. "ვილამ" ამ წინადადებაზე ცივი უარი განაცხადა.

ლივერპულელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ბენიტესმა არსენალელ **ნიკლას ბენდტნერსაც** დაადგა თვალი. დანიელი თავდამსხმელი 6 მილიონი გირვანქა ღირს. მან შარშანდელი სეზონი თადარიგში გაატარა. ბენდტნერის კონკურენტი **ემანუელ ადებაიორი** იყო. ტოგოელი



ჩაბი ალონსო

ფორვარდი "არსენალის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**არსენ ვენგერს** ბენდტნერის გაყიდვა არ სურს. მას ედუარდო და სილვა დაშავებული ჰყავს. **რობინ ვან პერსის** ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ადებაიორმა, შეიძლება, იტალიას მიაშუროს. ამ მოვლენების ფონზე, ბენდტნერის გაყიდვა კლუბის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ბენიტესს 20 წლის დანიელი **პიტერ კრაუჩის** შემცვლელად სჭირდება. კრაუჩს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი "ლივერპულიდან" აბარგება. მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რათა ინგლისის ნაკრების მიღმა არ დარჩეს.

ინგლისური გრანდები ერთმანეთში, როგორც წესი, არ ვაჭრობენ. თუ ბენიტესმა "არსენალი" ბენდტნერის გაყიდვაზე დაითანხა, ეს ნამდვილი სენსაცია იქნება. საკმარისია, გავიხსენოთ შარშანდელი სატრანსფერო ომი "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ლივერპულს" შორის. "ეშმაკებმა" მერსისაიდელებს **გაბრიელ ჰაინცე** ცოცხალი თავით არ დაუთმეს. საბოლოოდ, არგენტინელმა მცველმა მადრიდის "რეალს" მიაშურა.

**ჩაბი ალონსოს** "იუვენტუსში" ტრანსფერის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. ესპანელი ნახევარმცველი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს. ესპანური სააგენტოების ცნობით, 26 წლის ფეხბურთელს "რეალი" და "ბარსელონა" ეპატიჟებიან. მისი შეძენა ტურინულ გიგანტსაც სურს.

ბენიტესს ალონსოს გაყიდვა არ სურს. ამიტომაც, ფეხბურთელის სანაცვლოდ მაქსიმალური ფასი, 16 მილიონი გირვანქა მოითხოვა. მიმომხილველები ამტკიცებენ, შევაჭრების შემთხვევაში, ფასი 12.5 მილიონამდე შემცირდებაო.

### მაკლარენი ევროს ექსპერტი?

ბი-ბი-სიმ ევროპის ჩემპიონატის გასაშუქებლად ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **სტივ მაკლარენი** დაიქირავა. გულშემატკივრებმა ტელეკომპანია საყვედურებით აავსეს. 47 წლის სპეციალისტი სამსახურიდან იმიტომ გაუშვეს, რომ გუნდი ავსტრიასა და შვეიცარიაში ვერ გაიყვანა. ბი-ბი-სის ეთერში კი ექსპერტად მოაქვს თავი. მაკლარენის პირველივე რეპორტაჟის შემდეგ ტელეკომპანიის ოფისში 50-მდე აღშფოთებულმა ფანმა დარეკა და მწვრთნელი უწმაწური სიტყვებით მოიხსენია. ბი-ბი-სის ხელმძღვანელობას მომხდართან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. მაკლარენი ეთერში, კიდევ გამოჩნდება და ქომაგთა ნერვებზე თამაშსაც გააგრძელებს.

### ბლექბერნმა ელერდაისს უხმო

გუშინ, "ბლექბერნის" ხელმძღვანელობა **სემ ელერდაისს** შეხვდა. **მარკ ჰიუზის** "მანჩესტერ სიტიში" გადასვლის შემდეგ, მთავარი მწვრთნელის პოსტი მას შესთავაზეს. უფრო ადრე "ბლექბერნი" **ალან შირერსაც** დაუკავშირდა. შირერმა დაფასებისთვის მადლობა გადაიხადა, მაგრამ წინადადებაზე უარი თქვა. ამ ეტაპზე, ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ბი-ბი-სიში დარჩენა არჩია. შეგახსენებთ, ალანმა კარიერაში ერთადერთი საჩემპიონო ტიტული 1995 წელს "ბლექბერნთან" ერთად მოიპოვა. ინგლისური სააგენტოებით ცნობით, ელერდაისის გარდა, განიხილება "ჩელსის" ყოფილი მეორე მწვრთნელის, **ჰენკ თენ კეიტისა** და **პოლ ინსის** კანდიდატურებიც.

### სანტა კრუსი: არსენალი ან იუნაიტედი

"არსენალი" "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" კიდევ ერთი ფეხბურთელის ართმევას აპირებს. ერთი კვირის წინ მეთოფეებმა "კარდიფის" 17 წლის ნახევარმცველი **აარონ რემსი** შეიძინეს. ლონდონელებს ეს ბიჭი 5 მილიონი გირვანქას დაუჯდათ. ამჯერად, **არსენ ვენგერმა როკე სანტა კრუსს** დაადგა თვალი. ბლექბერნი მზადაა, ფეხბურთელი 10 მილიონ გირვანქად გაყიდოს. გასულ სეზონში სანტა კრუსმა "ვარდების" შემადგენლობაში 23 გოლი გაიტანა. ერთი წლის წინათ "ბლექბერნმა" "ბაიერნს" მის სანაცვლოდ 3.5 მილიონი მიუთვალა. 10 თვის განმავლობაში ფეხბურთელის ფასი თითქმის სამჯერ გაიზარდა. **ედუარდო და სილვას** უმძიმესი ტრავმის გამო, ვენგერს თავდასხმის გაძლიერება სჭირდება. გამოცდილი სამხრეთამერიკელი საუკეთესო კანდიდატია.

### შახტიორი გრანტს დაუკავშირდა

დონეცკის "შახტიორმა" "ჩელსის" ყოფილი დამრიგებლის, **ავრამ გრანტის** მიწვევა გადაწყვიტა. კლუბის ამჟამინდელი თავკაცი **მირჩა ლუჩესკუ,** შეიძლება, რუმინეთში დაბრუნდეს. მას ბუქარესტის "დინამო" ეპატიჟება. ლუჩესკუმ სარფიანი შეთავაზება მიიღო თურქეთიდანაც. რუმინელი სპეციალისტის დანიშვნა "გალათასარაის" სურს. გრანტს უკრაინულ ვარიანტთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. მას პრემიერლიგაში მუშაობის იმედი აქვს.

კალათბურთი. ნაკრების კანდიდატი. ანატოლი ბოისა

# ანატოლი ორმაგი სტიმულით



**ანატოლი ბოისა**

დაიბადა 9.09.1983
სიმაღლე
პოზიცია მსროლელი
*კლუბში არ ირიცხება*

**კარიერა**

1999-01 "აზოტი" რუსთავი
2001-03 "მიდლენდ კოლეჯი", აშშ
2003-04 "ბასკო", ბათუმი
2004-05 "გიარბი", აზერბაიჯანი
2005-08 "ენერჯი", რუსთავი

**მიღწევები**

| | |
|---|---|
| 2004 | საქართველოს ჩემპიონი |
| 2005 | აზერბაიჯანის ჩემპიონი |
| 2007 | საქართველოს ჩემპიონი |
| 2008 | საქართველოს ჩემპიონი |

**დებიუტი ნაკრებში:**

3.9.2005 ფინეთი საქართველო

**ანატოლი ბოისამ** 2007-08 წლების სეზონი ნაადრევად დაასრულა მას "ენერჯის" მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან** უთანხმოება მოუვიდა და გუნდს მარტში გამოაკლდა. ამის მიუხედავად, უსტიაშვილმა იგი ნაკრების გაფართოვებულ განაცხადში შეიყვანა და მწვრთნელის **იგორ კოკოშკოვის** გადასაწყვეტი იქნება, მოხვდება თუ არა ბოისა 12-კაციან განაცხადში.

მართალია, ანატოლი ბოისას ეროვნულ გუნდში დებიუტი ფინეთში, 2005 წელს ჰქონდა, მაგრამ იგი ერთი წლით ადრეც იყო **დრაჟენ ბრაიკოვიჩის** თორმეტეულში, თუმცა ოფიციალური შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია.

მომდევნო წელს გუნდში გორდონ ჰერბერტი მივიდა და მის ხელში ანატოლი სასტარტო შემადგენლობის კალათბურთელად იქცა. როგორი თვალით შეხედავს კოკოშკოვი, ამას 25 ივლისის შეკრებაზე გავიგებთ.

შეიძლება, ბევრს აინტერესებს, რით მოაწონა თავი ანატოლიმ გორდონ ჰერბერტს.

*"ანატოლი ბოისა ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეა და მეტოქის მთავარ შემტევებს მას ვაბარებთ. როცა იგი მოედანზეა, გვაქვს ვარირების საშუალება – თუ დაცვაში გვიჭირს, ბოისას ვათამაშებთ, ხოლო, როცა შეტევითი პოტენციალის გაძლიერება გვჭირდება, მის ნაცვლად ვიქტორ სანიკიძე შეგვყავს",* – გვითხრა გორდონ ჰერბერტმა.

მწვრთნელის სიტყვებიდან ნათლად ჩანს ანატოლის პლუს-მინუსები. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ იგი საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი მოთამაშეა. სროლის სიზუსტის გაუმჯობესებაზე კი კიდევ აქვს სამუშაო.

მოდით, ახლა თავად ანატოლი ბოისას მოვუსმინოთ, რომელიც ივლისის ბოლოს გასამართ შეკრებაზე საუბრობს:

- გაფართოვებული შემადგენლობის გამოცხადებას მივესალმები. მწვრთნელმა მოთამაშეები ვარჯიშებზეც უნდა ნახოს და ვიდეოფირებსაც მიაქციოს ყურადღება. შეიძლება, ფირზე ნახვის შემდეგ რომელიმე კალათბურთელი მოეწონოს, მაგრამ იგი შეკრებას არასათანადო ფორმაში შეხვდეს და 12-კაციან განაცხადში მისი შეყვანა არ ღირდეს. ნაკრებში ის უნდა მოხვდეს, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება. შანსი კი ყველას უნდა მიეცეს.

**- იმედი გაქვს, რომ 25 ივლისს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდები?**

- რა თქმა უნდა. მე ხომ ორმაგი სტიმული მაქვს: ჯერ ერთი, რომ აქამდე ნაკრებში ვთამაშობდი და მინდა, წელსაც გუნდში ვიყო. მეორეც – უმუშევარი ვარ და ნაკრებში თამაში შეიძლება გუნდის პოვნაში დამეხმაროს. ამიტომაც გაორმაგებული მონდომებით ვვარჯიშობ.

**- მზადებას უკვე შეუდექი?**

- ვარჯიში არც გუნდში მაკლდა და არც მას შემდეგ შემიწყვეტია, რაც "ენერჯიდან" წამოვედი. ყოველ დილას სტადიონზე დავრბივარ, ხოლო შემდეგ დარბაზში ვემზადები.

**- შუა სეზონში გუნდიდან წასვლით შენც ბევრი დაკარგე და "ენერჯიმაც".**

- თავისთავად, კლუბის დატოვება არასასიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ საქმე ერთი-ორად იმან დაამძიმა, რომ ისეთ დროს წამოვედი, როცა სატრანსფერო სეზონი დახურული იყო და ვერც ერთ გუნდში ველარ მივიდოდი. ამიტომ დანაკლისს ვარჯიშით ვივსებდი.

**- თანაქალაქელთა ჩემპიონატში გამარჯვებას როგორ შეხვდი?**

- ცხადია, ძალიან გამეხარდა. "ენერჯის" წარმატებას ყოველთვის დადებითი ემოციით ვხვდები. ვფიქრობ, გუნდმა ჩემპიონობა დაიმსახურა, რადგან მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა, რეგულარულ ჩემპიონატში პირველობა არავის დავუთმეთ. ფინალებში პირველი მატჩის წაგების შემდეგ მეგონა, რომ რუსთაველებს ცოტა გაუჭირდებოდათ, მაგრამ დარჩენილი შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**- ოქროს მედალი თუ შეგხვდა?**

- დიახ. ჩემმა ექიმმა გადმომცა. ასე რომ, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ვარ.

**- საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეთაგან ყველაზე ადრე შენ დაიწყებდი სატრანსფერო საკითხებზე ფიქრს.**

- სეზონი ვიდრე დასრულდებოდა, ტრანსფერებისთვის არავის ეცალა. როგორც წესი, ამ მხრივ აქტიურობა საქართველოში არც ივნისში იგრძნობა. ივლისიდან სუპერლიგის კლუბები დაკომპლექტებას შეუდგებიან და მეც საჩემო გუნდს მოვნახავ. მინდა, ეს საკითხი რაც შეიძლება მალე გადავწყვიტო, რათა ნაკრების შეკრებას დამშვიდებული შევხვდე. თუ მანამდე ვერ მოვასწარი, დიდი პრობლემა არც ის იქნება.

**- მინდა, შენს ძმაზე გკითხო. ვოვა "არისში" დარჩენას აპირებს?**

- ჯერ არ გადაუწყვეტია. ბევრი რამე იმაზე იქნება დამოკიდებული, რა ცვლილებები განხორციელდება გუნდში.

**- იგი ახლა სადაა?**

- სლოვენიაში, სახლშია და ისვენებს.

**- "არისის" მეოთხედფინალიდან გამოვარდნას როგორ შეხვდა?**

- რა თქმა უნდა, დასანანი იყო მეექვსეადგილოსან "მარუსთან" გამოვარდნა, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი პლეი ოფებს კარგად მომზადებული შეხვდა და ნახევარფინალიდან კინალამ "ოლიმპიაკოსი" გამოაგდო. მარუსელებს მეხუთე გადამწყვეტი მატჩის ბოლო წუთზე ფარქვეშიდან ტყორცნა რომ გამოეყენებინათ, ფინალში ითამაშებდნენ. ასე რომ, "არისი" სერიოზულ მეტოქესთან დამარცხდა.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი U-12

# ბოლოსწინა ხომ არ გაარკვევს?



12-წლამდელთა ჩემპიონატში დღეს ბოლოსწინა - მერვე ტური გაიმართება და დიდი შანსია, გოგონებშიც და ვაჟებშიც ჩემპიონის ვინაობა გაირკვეს: გოგონებში **დეა გოგიშვილმა** კვლავ შეინარჩუნა ერთქულიანი უპირატესობა - **მარიამ ვალიშვილს** თეთრებით მოუგო. თუ დღეს გაიმარჯვებს, მაშინ ბოლო ტურში წაგების შემთხვევაშიც კი ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება. ვაჟებში წინ **ირაკლი ბერაძე** გაიჭრა, რომელმაც აქამდე პირველ დაფაზე მყოფი ნიკოლოზ ქუმსიაშვილი დაამარცხა თეთრებით; ირაკლის 6,5 ქულა გაუხდა და ორ მდევარს უსწრებს ნახევარი ქულით. თეორიულად ბერაძესაც შეუძლია დღეს გაჩემპიონება - უნდა მოიგოს და 6-ქულიანებმა ერთმანეთში ყაიმით ითამაშოს, ქუმსიაშვილს კი კვლავ დაუცდეს ფეხი. თუმცა ასეთი დამთხვევა ალბათ, იშვიათია და უფრო რეალური ბოლო ტურში საქმის მომთავრებაა...

ვაჟებში აშკარად უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს ჩემპიონატი - 7 მონაწილეს აქვს საგზურის მოპოვების შანსი... ფინიშისკენ თითქმის ყველა ფავორიტმა გამოასწორა მდგომარეობა: **ალექსანდრე ებრალიძემ** ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა და 5,5 ქულა აქვს; მოიგო **მამუკა ანთაძემაც** და მასაც 5,5 ქულა აქვს. პირველ ექვსეულში პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე და მერვე ნომრები არიან და დღეს ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას: **ალექსანდრე ებრალიძე** (4) - **ირაკლი ბერაძეს** დაუპირისპირდება (1); **გიგლა ბენიძე** (2) - **უჩა მღვდელაძეს** (6); **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** (3) - **მამუკა ანთაძეს** (8)

დეა გოგიშვილის ჰანდიკაპზე უკვე მოგახსენეთ და თუკი მისი თამაშის ხარისხს მივიღებთ მხედველობაში, თამამი პროგნოზის გაკეთებაც შეიძლება, თუმცა "ჰოპას" თქმას მაინც უნდა მოერიდოს - ჯერ **ნატო იმნაძესთან** პარტია ელის. იმნაძეს აუცილებლად მოგება სჭირდება, თუ სურს, რომ ჩემპიონობას წაეპოტინოს, ყაიმის შემთხვევაშიც კი გოგიშვილს ჩემპიონობა უნდა მიულოცოს. თუ პირველობაზე არა, მეორეობაზე კი ნამდვილად აცხადებს პრეტენზიას **ანა შამათავა** - მასაც 5,5 ქულა აქვს. ანა მერვე ტურში თეთრებით **ნინო ხომერიკს** ხვდება და გამარჯვების შემთხვევაში მძლავრ ნაბიჯს გადადგამს წინ. გოგონებში საპრიზოზე ადგილების მაძიებლები შემცირდა და აქაც მაქსიმუმ ექვსი გოგონა მოიძებნება; აქედან ორს - **მარიამ ვალიშვილსა** და **თეკლა მაჭარაშვილს** მიზერული შანსი აქვთ - ორივე ტურში რომ იმარჯვონ 6,5 ქულას დააგროვებენ, ასეთი მარაგი კი უკვე აქვს გოგიშვილს და სავარაუდოდ, ერთიც სხვა რომელიმე შეძლებს... ნებისმიერ შემთხვევაში საგზურს ვერ შეწვდებიან - ამ ბრძოლაში იმნაძე და შამათავა არიან გამოკვეთილი ფავორიტები.

მეშვიდე ტური: გოგონები: **დეა გოგიშვილი - მარიამ ვალიშვილი - 1:0; თეკლა მაჭარაშვილი - ანა შამათავა - 0:1; მეგი ჭაჭია - ნატო იმნაძე - 0:1; მარიამ სამურკასოვი - ნინო ჯღარკავა - 1:0; ნინო ხომერიკი - ადა ქაქუთია - 1:0**

ვაჟები: **ირაკლი ბერაძე - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - 150; ირაკლი კელაპტრიშვილი - გიგლა ბენიძე - 0:1; გუგა ბურდული - უჩა მღვდელაძე - 0:1; გიორგი ბორიკაშვილი - ალექსანდრე ებრალიძე - 0:1; დიმიტრი ოხანაშვილი - მამუკა ანთაძე - 0:1; ალექსანდრე ურდულაშვილი - ნიკოლოზ ბერძენაძე - 0:1; გიორგი მამნიაშვილი - ილია ხელაძე - 0:1**

მერვე ტური: გოგონები: **ნატო იმნაძე (5,5) - დეა გოგიშვილი (6,5), ანა შამათავა (5,5) - ნინო ხომერიკი (5), მარიამ ვალიშვილი (4,5) - მარიამ სამუკაშვილი (5), ქეთევან ხომერიკი (4) - თეკლა მაჭარაშვილი (4,5)**

ვაჟები: **ალექსანდრე ებრალიძე (5,5) - ირაკლი ბერაძე (6,5), გიგლა ბენიძე (6) - უჩა მღვდელაძე (6), ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (5,5) - მამუკა ანთაძე (5,5), ნიკოლოზ ბერძენაძე (5,5) - გუგა ბურდული (5), გიორგი დანგაძე (5) - ირაკლი კელაპტრიშვილი (5), ილია ხელაია (5) - გუგუნა ხიდეშელი (5), ნიკა ლვამბერია (5) - ვახტანგ ჩაჩხიანი (5)**

ზვიად შათირიშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

# წარმატება თურქეთში

7-9 ივნისს, სტამბოლში, ჭაბუკთა მსოფლიო ფესტივალზე წარმატებით იჭიდავა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. ტურნირის ჩემპიონები **ავთანდილ ჯიოევი** (50) და **ვალერი გზირიშვილი** (100) გახდნენ. **კონსტანტინე გავაშელი** (54), **გიორგი მეტრეველი** (63) და **ალექსანდრე ამინაშვილი** (69) მეორე ადგილებზე გავიდნენ, ბრინჯაო კი **ლაშა ჯაყელმა** (85) მოიპოვა.

ამ ფესტივალში მოჭიდავეთაგან მხოლოდ "თავისუფლები" მონაწილეობდნენ - ორგანიზატორებს არც ძიუდოისტები მიუწვევიათ და არც - "ბერძენ-რომაელები". ამათგან ტურნირში 11 გუნდი გამოდიოდა, ჩვენებმა კი, მასპინძელთა შემდეგ, მეორე გუნდური ადგილი მოიპოვეს.

თუმცა აქ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სტამბოლში მეორე შემადგენლობით ვიასპარეზეთ - ჭაბუკთა ძირითადი ნაკრები ახლა შეკრებაზეა და თვის ბოლოს ლატვიურ დაუგავპილსში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადება.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარი. ინტერვიუ ლილიკო ნემსაძესთან

# სივრცე, სადაც თავისუფალი ხარ!



**ზუსტად** ერთი კვირის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კულტურისა და სპორტის ცენტრის მიწვევით სტუდენტებს დიდოსტატი ნანა ალექსანდრია შეხვდა და საინტერესო საჭადრაკო ლექციაც წაიკითხა, ავტობიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები გაიხსენა და ბოლოს 19 დაფაზე ერთობლივი თამაშის სეანსიც ჩაატარა. სეანსში ცენტრის დირექტორმა, კომპოზიტორმა ლილიკო ნემსაძემაც მიიღო მონაწილეობა. მოხდა ისე, რომ თამაშის საშუალება მეც მომეცა და სწორედ ქალბატონ ლილიკოს გვერდით აღმოვჩნდი. სეანსმა სამ საათს გასტანა და ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთის გაცნობაც მოვასწარით და ჭადრაკზე და ზოგადად სპორტზეც საკმაოდ ვისაუბრეთ. ცხადია, საუბარი მოკლე რეპლიკებით შემოიფარგლებოდა, რადგანაც იმ დღის "უმთავრესი საქმისთვისაც" უნდა მიგვეხედა.

თავისთავად, აღიარებული კომპოზიტორის ჭადრაკით დაინტერესება ჟურნალისტისთვის მეტად მიმზიდველი ფაქტია და უმალ დამებადა აზრი, რომ ქალბატონი ლილიკოსთვის ინტერვიუ მეთხოვა. მის მიერ გამოთქმულმა რამდენიმე ორიგინალურმა მოსაზრებამ ჩემში განსაკუთრებული ინტერესი აღძრა და ამიტომაც გამიმძაფრდა მასთან საუბრის სურვილი.

საბედნიეროდ, ქალბატონი ლილიკო ინტერვიუზე დიდი სიხარულით დამთანხმდა და საკმაოდ ენაწყლიანიც იყო; რაც მთავარია, საკუთარი, ორიგინალური მსოფლმხედველობაც საცნაური გახდა ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, მკითხველიც კმაყოფილი დარჩება.

- პირველ რიგში, მსურს ღრმა პატივისცემა გამოვხატო თქვენი გაზეთის მიმართ, - "ლელო" ძალიან მიყვარს და სისტემატურად ვეცნობი ამ გაზეთს. ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია "ლელოს" რესპონდენტობა. სიმართლე გითხრათ, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სპორტული გაზეთის რესპოდენტი გავხდებოდი, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ეს დღეც დადგა. ნამდვილად ვამაყობ ამ მოვლენით და მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.

ჩემი დღევანდელი თანამდებობა სპორტთან მჭიდრო კავშირს მავალდებულებს, მაგრამ ისე არ იფიქროთ, რომ აქამდე სპორტული სამყარო ჩემთვის უცხო იყო, პირიქით: ყოველთვის ძალიან სპორტული გახლდით და ბავშვობიდანვე ვგულშემატკივრობდი სპორტის ამა თუ იმ სახეობას და სპორტსმენებს. სპორტი 7 წლის ასაკში 1978 წლიდან შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, როცა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა ფეხბურთში და როცა მაია ჩიბურდანიძე პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. კალათბურთითაც აღფრთოვანებული ვიყავი, მაგრამ ფეხბურთი ყველაზე დიდი სიყვარული იყო. განსაკუთრებით მარიო კემპესს ვგულშემატკივრობდი, ხოლო თბილისის "დინამოს" 1981 წლის წარმატებამ საერთოდ ფრთები შემასხა. ძალიან კარგად მახსოვს, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ესპანეთში გაიმართა და იტალიის ნაკრებმა მოიგო. მას შემდეგ იტალიის თავგადაკლული გულშემატკივარი ვარ. მიუხედავად სპორტისადმი ასეთი სიყვარულისა, თუ საქმიანობითაც დავუკავშირდებოდი ოდესმე სპორტს, არ მეგონა.

მოხდა ასე და ბედნიერი ვარ, რომ ვთანამშრომლობ ისეთ ადამიანთან, როგორიც დიდოსტატი მაია ლომინეიშვილია. თავის მხრივ, მაიამაც შესანიშნავად წარმართა უნივერსიტეტში სპორტული ცხოვრება და, ჟარგონი რომ ვიხმარო, მეტი მულამი გამიჩნდა. ჩვენი უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდი კი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს და ბრინჯაოს მედალოსანი გახდა, კიდევ უფრო შემაყვარა სპორტი და ერთგულ გულშემატკივრად მაქცია. ჩემი მეგობრები როცა ვერ მპოულობენ და ერთმანეთს ეკითხებიან, ლილიკო სად არისო, პასუხიც იციან - ან ვერის ბაღში, ანაც სპორტის სასახლეში - კალათბურთზე; თუ თბილისში არა ვარ, ესე იგი რუსთავში ვარ, სადაც ჩვენი გუნდი გასვლით თამაშს ატარებს. ერთი პერიოდი თსუ-მ ზედიზედ რამდენიმე მატჩი მოიგო და ჩემი მეუღლე რომ მეკითხებოდა, რა ქენითო და ვპასუხობდი - მოვიგეთ-მეთქი, კინოფილმ "ფეოლას" ფრაზებით მპასუხობდა - "გაგიჭირდებოდათ"... ამის მერე ფეოლა შემარქვა.

**- ჭადრაკთან დამოკიდებულება როგორ ჩამოგიყალიბდათ? ქალბატონ ნანა ალექსანდრიასთან სეანსში საკმაოდ კარგი ცოდნა გამოამჟღავნეთ...**

- ჭადრაკს მე და ჩემი და მამამ გვაზიარა, - ბავშვობიდანვე გვასწავლიდა. მამა პროფესიონალი არ გახლავთ, მაგრამ ჭადრაკს ძალიან კარგად თამაშობს, - თავის დროზე სეანსში დავით ბრონშტეინი ჰყავს დამარცხებული, მიხეილ ტალთან კი ყაიმს მიაღწია. იგი მრავალმხრივი ნიჭის ადამიანია და ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის, - ბავშვობიდან იტალიურ არიებს გვიმღერდა, საოპერო ჩანაწერებს გვასმენინებდა. მართალია, მოჭადრაკე და სპორტსმენი არ გამოვედი, მაგრამ სპორტისთვის გავხდი ის, რაც მუსიკისთვის შეიძლება იყოს კარგი მსმენელი და კულტურის დამფასებელი. ჩემი აზრით, სპორტშიც და მუსიკაშიც არის ორი კატეგორია ადამიანებისა, რომელიც ერთნაირად ფასობს: შეიძლება ადამიანს მუსიკალური სმენა არ ჰქონდეს, მაგრამ გემოვნებიანი მსმენელი იყოს, სპორტშიც ასეა - არ არის აუცილებელი კარგი სპორტსმენობა - მთავარია, გიყვარდეს და უამრავი სიკეთის გაკეთებაა შესაძლებელი... მე ასეთთა კატეგორიას ვეკუთვნი - გემოვნებიანი გულშემატკივარი ვარ.

**- ქალბატონო ლილიკო, ნანა ალექსანდრიასთან სეანსის დროს თქვენ საკმაოდ ორიგინალურად შეადარეთ ერთმანეთს ჭადრაკი და მუსიკა, თუმც ვრცლად ამის შესახებ მაშინ ვერ ვისაუბრეთ. შეგიძლიათ მითხრათ, რა საერთოს ხედავთ ამ ორ სფეროს შორის?**

- ალბათ გახსოვთ, სეანსის დასრულების შემდეგ ქალბატონი ნანა ყავაზე დავპატიჟეთ და თქვენც გახდით ჩვენი საუბრის მოწმე, სადაც ანალოგიურ კითხვაზე მშვენიერმა სტუმარმა უპასუხა: სივრცის შეგრძნებაა მთავარიო; სივრცობრივი აზროვნება უნდა შეეძლოს მოჭადრაკეს, შორს გაიხედოს და სწორად შეაფასოს მოსალოდნელი ვითარება. სეანსის დროს მეც სივრცის შეგრძნებაზე მიგანიშნეთ მუსიკაში და ძალიან გამიხარდა, რომ დიდმა მოჭადრაკემაც ამგვარი შეფასება გააკეთა. ჩემი აზრით, მუსიკაში უკიდეგანო სივრცეა, სადაც აბსოლუტურად თავისუფალი ხარ და შემოქმედებისთვის და ნიჭის გამოვლენისთვის ყველა საშუალებაა. ეგებ ჭადრაკში მთლად ასე თავისუფალი ვერ იყო, რადგანაც მაინც გარკვეული ჩარჩოთი იზღუდები და ვერ გაექცევი მას, თუმცა რაღაც ახლის, სხვისგან განსხვავებულის შექმნის შესაძლებლობა კი ნამდვილად გაქვს. სხვათა შორის, სივრცის შესახებ მამას გავუზიარე აზრი და იმაზე, რომ მუსიკას უფრო მეტი სივრცობრივი განზომილება აქვს, არ დამეთანხმა - როგორც გითხარით, მუსიკაშიც კარგად ერკვევა და ჭადრაკშიც და მისი აზრი ჩემთვის მისაღებია...

**- თქვენ ჭადრაკის დაფას და ფიგურებსაც თქვენებურად აფასებდით...**

- როგორღაც ისე ხდება, რომ ადამიანებსაც და საგნებსაც გარკვეულ ფერებში აღვიქვამ. უცხო ადამიანთან ურთიერთობისას მოკლე ხანში შემიძლია მასზე შთაბეჭდილება შევიქმნა და ის ფერებში დავინახო. რაღაც მსგავსი რამ არის ჭადრაკის ფიგურებთან დამოკიდებულებაში: მე მათ პირველ რიგში სულიერ საგნებად აღვიქვამ და ვთვლი, რომ ესა თუ ის ფიგურა ქალის ან მამაკაცის ტიპაჟს მიეკუთვნება. მაგალითად ჩემთვის მხედარი მამაკაცია, მაგრამ სტანდარტული ტიპის არა - ის უფრო ჭკუადამჯდარი და ორიგინალური კაცია, თუმც უფრო ხანში შესული, ვიდრე ახალგაზრდა, რადგანაც მოქმედების ფართო არეალი, ანუ ძალა არა აქვს. კუც მამაკაცია, მაგრამ უფრო ახალგაზრდა და აქტიური, მაგრამ ახალგაზრდულად ჯიუტი - მხოლოდ გარკვეული, სხვათაგან განსხვავებული გზით დადის... ეტლიც კაცია, თუმცა თავიდან ვთვლიდი, რომ ქალი იყო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ კაცია, ოღონდ - ზარმაცი - ბევრის გაკეთება ძალუძს, მხოლოდ ამას ზანტად და გვიან აკეთებს. მეფე კი უსუსური ფიგურაა, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას - იგი ღრმად მოხუცებულ მამაკაცს მაგონებს. დაფაზე ყველაზე ძლიერი ფიგურა - დედოფალი - ქალია! არ იფიქროთ, რომ ქალის კაცზე უპირატესობას ვქადაგებ, მაგრამ ამ მხრივ მე ჩემი ფილოსოფიური აზრი გამაჩნია და ვფიქრობ, რომ ჭადრაკმა ზუსტად გამოხატა ეს აზრი. ზოგადად მამაკაცის პრიორიტეტს ვაღიარებ: ნებისმიერ სფეროში მამაკაცი ქალზე ძლიერი და წარმატებულია, მაგრამ მგონია, რომ ქალს მაინც მეტი პოტენციალი გააჩნია. დედოფალში სწორედ ეს პოტენციალია გამოვლენილი - ყველა ის თვისება აქვს, რაც ძლიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს და გამარჯვებისკენ წარუძღვეს თავის სამწყსოს თუ ჯარს. როგორც ჩანს, ვინც დედოფალს ასე შეარქვა, ძალიან ბრძენი ბრძანებულა. საერთო ჯამში კი ჭადრაკი მაინც მამაკაცების თამაშად მიმაჩნია, რადგანაც ჭადრაკი ორი დაპირისპირებული მხარის ბრძოლაა, ომია, ომში კი მამაკაცებს ქალი ვერ შეცვლის.

**- ძალიან საინტერესოა. მოდით, ახლა ამ ომის მოგების ხერხებზე ვისაუბროთ: რა არის საჭირო იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე დაამარცხო, ანუ მთავარი პრობლემა გადაჭრა.**

- დავიწყებ იმით, რომ ყველა საქმეში აუცილებელია წესების დაცვა - არსებობს დოგმები, დადგენილი გზები, რომლისგან გადახვევა არ შეიძლება. მუსიკაში არის ჰარმონიული ამოცანები, რომელიც მუსიკის წერის დროს უნდა გაითვალისწინო; ასევე უნდა იცოდე აკორდული ჟღერადობები, ის რომ ეს ინტერვალი აქ წყდება და არსად სხვაგან. საჭადრაკო ამოცანების ამოხსნას მაია ლომინეიშვილთან ხშირად ვუყურებ და საერთოს ნამდვილად ვამჩნევ - მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კარგად არ მესმოდეს ამოცანის ამოხსნის მეთოდები, როცა მაია აკეთებს, ვხვდები, რომ სწორად დადგენილი წესების ცოდნა აძლევს ამოცანის გასაღებს.

**- აქედან გამომდინარე, შესაძლებელია თუ არა, წესის ცოდნამ ნაკლებად ნიჭიერი ან უნიჭო ადამიანი კარგ მუსიკოსად ან მოჭადრაკედ აქციოს?**

- შრომის გარეშე ამ ქვეყნად არაფერი ხდება და თუკი ადამიანი ძალიან ბევრს იმუშავებს საკუთარ თავზე, შესაძლოა, გარკვეული შედეგი მიიღოს. მუსიკაშიც შესაძლებელია უსმენო ადამიანს სიმღერა და დაკვრა ასწავლო, მაგრამ ის ვერაფრით გახდება კარგი მუსიკოსი. ასევე იქნება ალბათ ჭადრაკშიც - რაღაც დონეს მიაღწევს, მაგრამ ნათელ კვალს ვერ დატოვებს ამ სფეროში. შემოქმედებისთვის ბუნებრივი ნიჭია საჭირო, რომელიც ღმერთისგან ეძლევა ადამიანს. აქაც მსგავსებაა მუსიკასა და ჭადრაკს შორის.

**- საჭადრაკო პარტია სამ ეტაპად იყოფა: დასაწყისი, რომელსაც დებიუტი ჰქვია, შუა თამაში - ანუ მიტელშპილი და ბოლო ეტაპი - დაბოლოება ანუ ენდშპილი - ეს ტერმინები გერმანულია. მუსიკალური ნაწარმოები თუ ხასიათდება მსგავსი დაყოფით?**

- საჭადრაკო პარტიის ამგვარი დაყოფის შესახებ ნამდვილად არ ვიცოდი და სიამოვნებით გეტყვით, რომ მუსიკალური ნაწარმოებიც ძირითადად სწორედ სამ ნაწილად იყოფა: დისპოზიცია - ანუ დასაწყისი, შემდეგ განვითარება და ბოლოს ფინალი. როგორც ჩანს, ადამიანის გონება სრულყოფილ პროდუქტს ერთი პრინციპით ქმნის - მუსიკა იქნება ეს, სპორტი, ხელოვნება თუ მეცნიერება.

**- ალბათ ამ პრინციპთა გამოა, რომ ნიჭიერი ადამიანი სხვა სფეროებშიც ხდება წარმატებული - ისეთში, რომელიც ადრე მისი ჰობი იყო...**

- რა თქმა უნდა, თუ ნიჭი გაქვს, წარმატებას სხვა სფეროშიც მიაღწევ, მხოლოდ ამისთვის შრომაც აუცილებელია. უშრომელად არაფერი გამოდის და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს. თუ არ დაიზარებ და იშრომებ, ანუ იფიქრებ კიდეც, ღმერთი შეგეწევა და შედეგს აუცილებლად მიაღწევ. მიაღწევ, რადგან ადამიანისთვის ღმერთს უკიდეგანო სივრცე მიუცია, სადაც აბსოლუტურად თავისუფალი ხარ!



ლილიკო ნემსაძე და ნანა ალექსანდრია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. IRB-ის ერთა თასი

# უნდა მოგვეგო!



IRB NATIONS CUP
Bucharest 2008

ბუქარესტში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა "მზარდ ქურციკებთან" მარცხი განიცადა. თამაშის შემდეგ აფრიკელთა კაპიტანმა მორგან ნიუმენმა ბორჯღალოსნების მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა: - ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა. ვიცოდით, რომ ქართველებს ძლიერი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მათი ბრძოლისუნარიანობით, განსწავლულობით გაოცებულნი დავრჩით. - თქვა მან.

აფრიკელთა მწვრთნელი **ჩესტერ ვილიამსი:** - ჩვენ IRB-ის ერთა თასის მფლობელები ვართ, მაგრამ დღეს მივხვდით, რომ ამ ტურნირის ფავორიტები აღარ ვართ.

ნაკრების თამაშით უკმაყოფილო გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი **ნიკოლოზ ჭავჭავაძეც** არ იყო: - ეს იყო მძაფრი პაექრობა, რომელშიც ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა სერიოზული გამოცდილება მიიღო. მოგება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ, მატჩის შედეგი სამართლიანია. მოიგო უფრო ძლიერმა.

საქართველოს მნიშვნელოვნად გადახალისებული ნაკრების პირველი შეხვედრის ანალიზი ქართველ რაგბის სპეციალისტებსაც ვთხოვეთ.

**პაატა ნარიმანაშვილი, "აკადემიის" მწვრთნელი:** - აფრიკელები უნდა დაგვემარცხებინა. შერკინება, რომ დამდგარიყო, მოვიგებდით კიდეც. სტატიკურ მდგომარეობაში სისუსტემ ჩვენი სხვა უპირატესობა გააბათილა. არ მახსოვს, როდესმე საქართველოს ნაკრებისთვის ვინმეს ასე ლელო გაეტანოს. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში დანიშნული შერკინებიდან ხშირ შემთხვევაში პირიქით, ვამწარებდით მეტოქეს. აქ კი პირიქით მოხდა. პირველ და მეორე ხაზში სერიოზული პრობლემები გვაქვს. მესამე ხაზს არაუშავდა. უკანახაზმაც რამდენჯერმე შეძლო თამაშის გაშლა, მაგრამ საბოლოოდ არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

ძალიან გამიკვირდა, უდესიანის გარღვევის შემდეგ, აფრიკელთა ლელოდან ხუთ მეტრში წარმოქმნილი რაკის დროს წინ თამაში არბიტრმა რატომ დააფიქსირა. ვფიქრობ, ჩვენმა მორაგბეებმა ყველაფერი სუფთად გააკეთეს. მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს და ლელოც გარდაუვალი იყო.

**გოჩა აბაშიძე, რაგბის კვშირის მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელი:** - ძირითადად, მინდა, ყურადღება მსაჯობაზე გავამახვილო. ჩემი შეფასება არის უაღრესად უარყოფითი. შერკინებიდან, რომლის შემდეგაც აფრიკელებმა ლელო გაგვიტანეს, ვფიქრობ, ბურთი წესის დარღვევით, თამაშგარედან აიღეს. ანალოგიურ სიტუაციაში უკვე ჩვენს ოცდაორმეტრიან ზონაში არბიტრმა უკვე იკადრა და საჯარიმო დანიშნა. ვერაფრით დავადგინე, რატომ ჩაგვიშალა შესანიშნავი შეტევა, როცა უდესიანმა ხაზი გაჭრა და ლელოდან ხუთ მეტრში შებოჭეს. რაკიდან ბურთი სუფთად გავიდა და ეს განმეორებით ჩვენებისასაც ნათლად დავინახე.

კიდევ ერთი, ეპიზოდში, მეორე ნახევარში, როცა აფრიკელები საჯარიმო დარტყმით დაწინაურდნენ, საჯარიმო რაკში ბურთის შეყოვნებისთვის დაინიშნა. წაქცეულმა მოთამაშემ ბურთს ხელი არ გაუშვა. ანალოგიური დარღვევა სულ რაღაც ნახევარი წუთით ადრე აფრიკელებს ჰქონდათ, მაგრამ იტალიელ არბიტრს რეაქცია არ ჰქონია. ერთი სიტყვით, ყველა სადავო სიტუაციაში მსაჯმა ჩვენ საწინააღმდეგოდ უსტვინა. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, ეს თამაში მაინც უნდა მოგვეგო.

**თემურ ბენდიაშვილი, "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი:** - სახლის მშენებლობა რომ იწყება და აშენებული მხოლოდ ერთი სართულია, შეუძლებელია თქვა, როგორი სახლი აშენდება. შეფასება მაშინაა შესაძლებელი, როცა სახლი უკვე აშენებულია. მთავარი ისაა, რომ ტიმ ლეინმა სწორად განჭვრიტა, მიხვდა რა აქვს გამოსასწორებელი საქართველოს ნაკრებს. ის გუნდს ჯერ თამაშის გაშლას ასწავლის, რასაც ცხადია, შესაბამისი გაგრძელება უნდა მოჰყვეს. ეს საკმაოდ რთული პროცესია და მის დახვეწას, სრულყოფას დრო სჭირდება. მთავარია, რომ დაიწყო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი

# ნაკრებში თაობათა ცვლა იწყება

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები სტუ-ს დარბაზში აგრძელებს სამზადისს მოახლოებული ოფიციალური შეჯიბრებებისთვის.

როგორც იცით, გუნდი 19 ივნისს, ბელორუსის საერთაშორისო ტურნირზე მიდის, რასაც ივლისში მოჰყვება მსოფლიო უნივერსიადა, ოქტომბრიდან კი ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში ჩავერთვებით.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ნაკრებში იწყება ცოტა არ იყოს, მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი პროცესი - თაობათა ცვლა. ამჟამად, ნაკრებში არ არიან **ლევან გელაშვილი, ომარ ყიფიანი, დავით ნიკოლაიშვილი, გიორგი ქობელაშვილი** და **ტიტე კალანდაძე.** აქედან ნაკრებს საბოლოოდ, ჯერ ყველა არ გამოთხოვებია მაგრამ უკვე ისეთ ასაკში არიან, რომ მალე შესაძლოა დაასრულონ კარიერა.

ამჟამად, ეროვნული ნაკრების თავკაც **იმედო ფხაკაძის** განკარგულებაშია 18 ხელბურთელი. ლეგიონერებიდან მხოლოდ **რატი მსხვილიძესა** და **სერგო დათუკაშვილს** ელიან. რატის თბილისში ჩამოსვლა ისლანდიის ვიზის გაგრძელების პროცედურის გამო დაუგვიანდა, დათუკაშვილი კი გერმანული "ლიუბეკედან" წამოვიდა და ახალი კლუბის ძიებაშია.

დასასრულ, გთავაზობთ შეკრებაზე გამოძახებული ხელბურთელების სიას.

მეკარეები: **შოთა თევზაძე** (სტუ), **კორნელი ანდრიაძე** (თბილისი), **გიგა ტორონჯაძე** (სტუ)

მოედნის მოთამაშეები: **ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, გიორგი კობახიძე, ამირან ყიფიანი, ილია გოგალაძე, გიორგი ჩიქოვანი, აკაკი ტალახაძე, მამია კობახიძე** (სტუ), **გიორგი წივწივაძე, უჩა მაისურაძე, ვანო ქარდავა** (თბილისი), **შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი ნატროშვილი** (ორმანი, თურქეთი), **რატი მსხვილიძე** (სტიარნანი, ისლანდია), **სერგო დათუკაშვილი** (უკლუბო), **რეზო ჭანტურია** (მეტალურგი, მაკედონია), **ვლადიმერ რუსია** (დინამო, რუმინეთი)

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# სამი ქართველი მეოთხედფინალში

ელ პასოში (აშშ) ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (25 ათასი დოლარი) მერვედფინალში **ანა ტატიშვილის** (244) მეტოქის ვინაობა გაირკვა, ის საკვალიფიკაციო ბადიდან გასული **ლინდსეი ლი-უოტერსია** (552). 30 წლის ამერიკელი ერთ დროს (12 წლის წინათ) მსოფლიოს 43-ე ჩოგანი იყო. ტატიშვილი ელ პასოს ტურნირზე მეორე ნომრად არის განთესილი. ლი-უოტერსი და ტატიშვილი შარშან ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, უოლტონ ბიჩში ამერიკელმა მოიგო, ინდიან ჰარბორ ბიჩში – ქართველმა. წყვილთა ბადის მეოთხედფინალში ანას და ამერიკელ **კიმბერლი კაუტსს** (მე-4 ნომრად განთესილები) მექსიკური დუეტი (**კლარკ-მაგანა, მუნიოს-გალიეგოსი**) დაუპირისპირდება.

სტამბოლში იესილიურთის თასის გათამაშება (10 ათასი დოლარი) გადამწყვეტ ფაზაში შედის, სამი ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალშია. ყველაზე დიდი სენსაცია 16 წლის **ეკა გორგოძემ** (797) მოახდინა, საკვალიფიკაციო ბადიდან გასულმა ქართველმა მერვედფინალში მე-2 ნომრად განთესილ თურქს, **კაგლა ბუიუქაგჩაის** (391) მოუგო – 6:3, 6:3. 19 წლის ბუიუქაგჩაი თურქეთის საუკეთესო ჩოგბურთელია, მოიგო მე-7 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამაც** (581), თუმცა რუსი **მარია ჟარკოვას** დამარცხება მას გაუჭირდა – 6:4, 4:6, 6:2. **მანანა შაფაქიძემ** (617) ორ სეტში, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში ბელგიელი **ინეკე მერგაერტი** დაამარცხა – 7:6 (5), 6:4. წუხელ, ქართველთა მომავალი მეტოქეები გაირკვა. გორგოძის მეტოქე ებრაელი **ჩენ ასტროგოა** (938). კალაშნიკოვასაც ებრაელი მეტოქე ეყოლება, **კერენ შლომო** (716). თუკი გორგოძე და კალაშნიკოვა იმარჯვებენ, ისინი იესილიურთის თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მანანა შაფაქიძის მეტოქე რუსი **ავგუსტა ციბიშევაა** (865).



ეკა გორგოძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კიკბოქსინგი

# მედლები მსოფლიო თასიდან



6-9 ივნისს, იტალიაში, ქალაქ სალსომაჯიეროში გამართულ მსოფლიო თასზე (WAKO-ს ეგიდით) დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ნაკრებმა კიკბოქსინგში. ქართველებმა ოქროს 2 და ბრინჯაოს 2 მედალი მოიპოვეს. **დავით ჯავახია (71 კგ) და გიგა კორძაძე (75 კგ)** დიდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, **ელენე ბოლაშვილმა (56 კგ)** და **სოფო ქავთარაძემ (65 კგ)** კი მესამე ადგილები აიღეს და შესაბამისად, ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

საპრიზო ხუთეულში მოხვედრა შეძლეს **ია ინასარიძემ** (60 კგ) და **იოსებ დანელიამ** (63 კგ). აღსანიშნავია, რომ დავით ჯავახიამ რამდენიმე ორთაბრძოლა და ფინალიც ნოკაუტით მოიგო, რაც შეეხება გიგა კორძაძეს, მან მძიმე ოპერაციის შემდეგ პირველად იბრძოლა და ოქროს მედლის მოპოვება შეძლო. იტალიაში გამართულ მსოფლიოს თასზე 60-მდე ქვეყნის 2000-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

იტალიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გოჩა ჯავახიამ** და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ,** სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს. **გოჩა ჯავახიას** განცხადებით, კიკბოქსინგი და ტაილანდური კრივი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სერიოზულ კონტროლზე აიყვანა და ეს ორივე სახეობა ოლიმპიადის კანდიდატი სახეობები გახდა. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის მსოფლიო თასის მაღალ დონეზე ჩატარებას, რაც საბოლოო ჯამში შესრულდა კიდეც.

შემდეგი მნიშვნელოვანი გამოცდა ქართველ სპორტსმენებს სექტემბერში ელით, როდესაც სეული ტაილანდურ კრივში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. მთელი ყურადღება სამომავლოდ, სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატისკენ იქნება მიმართული.

*სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. ახალი ამბები

# ოლიმპიადა სამეფო ოჯახის გარეშე



ბრიტანეთის ცხენოსანთა ოლიმპიურ ნაკრებს გამოაკლდა დედოფალ **ელიზაბეტ II**-ის შვილიშვილი **ზარა ფილიპსი**. სპორტსმენი პეკინში იმ მიზეზით ვერ გაემგზავრება, რომ მისმა ცხენმა - **თოითაუნმა** ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ტრავმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის აგვისტოში, გერმანიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ფილიპსმა სწორედ ამ ცხენით მოიპოვა ოქროს მედალი, თუმცა ერთი თვის შემდეგ, ევროპის პირველობის დროს, თოითაუნმა კონკურში ასპარეზობისას ერთი წინაღობის გადალახვა არ მოისურვა და ბრიტანელი მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ცნობილია, რომ ზარა ფილიპსის მშობლებიც აქტიურად მისდევდნენ სპორტის ამ სახეობას. მისი მამა, **მარკ ფილიპსი** 1972 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ზარას დედამ - პრინცესა **ანამ** კი, ერთი წლით ადრე ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**გიორგი თვალია**

# პისტორიუსმა ნორმატივი ვერ ჩააბარა

როგორც ცნობილია, სამხრეთაფრიკელ, ინვალიდ მძლეოსანს **ოსკარ პისტორიუსს** პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლება მისცეს. ცოტა ხნის წინათ, ჰოლანდიის ქალაქ სტადსკანალში გამართულ პარაოლიმპიურ ტურნიში პისტორიუსმა, 200 და 400 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა, თუმცა ვერცერთ შემთხვევაში ვერ შეძლო ოლიმპიური ნორმატივის შესრულება, რომელიც მას პეკინში გამგზავრების უფლებას მისცემს. პისტორიუსმა 400 მეტრზე 48.19 წამი აჩვენა, 200 მეტრზე კი, მისი დრო იყო - 22.15 წამი.

იმისთვის, რომ სამხრეთ აფრიკელმა ოლიმპიადის საგზური მოიპოვოს, 10 ივლისამდე 400 მეტრი 45.95 წამზე ნაკლებ დროში უნდა გაირბინოს. პისტორიუსის უახლოეს გეგმებში IAAF-ის ეგიდით გასამართი ორი ტურნირი შედის - 2 ივლისს მილანში და 11 ივლისს - რომში.

**გიორგი თვალია**

# ილგაუსკასი პეკინში



"კლივლენდ კავალიერზის" ცენტრალური თავდამსხმელი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** მაინც აისრულებს ოცნებას და ლიტვის ნაკრებთან ერთად ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

33 წლის კალათბურთელს (221 სმ) კლუბი არ აძლევდა პეკინში გამგზავრების უფლებას. ილგაუსკასი ხშირად იღებს ტრავმებს და ამის გამო, "კავალიერზის"ხელმძღვანელობას არ სურდა ახალი რეგულარული სეზონის წინ რისკზე წასვლა.

მაგრამ საქმეში ლიტვის პრემიერ-მინისტრი და NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** ჩაერივნენ. მათ შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ, "კლივლენდმა" პოზიცია შეცვალა და ილგაუსკასს ნაკრებში თამაშის ნება დართო.

**გიორგი თვალია**

# ესპანელების არჩევანი

ამასობაში, ესპანეთის საკალათბურთო ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა, **აიტო გარსია რენესესმა** ოლიმპიადისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

რენესესმა გასულ კვირას დაიკავა თანამდებობიდან გადაყენებული **პეპე ერნანდესის** ადგილი და რამდენიმე მოულოდნელი სვლა გააკეთა. შემადგენლობაში არ შეიყვანა **სერხიო როდრიგესი** და **კარლოს კაბესასი**, მათ ნაცვლად კი, "ხუვენტუდის" 17 წლის უნიჭიერესი გამთამაშებელი **რიკი რუბიო** და "რეალის" მცველი **რაულ ლოპესი** მიიწვია.

მოულოდნელი იყო მსოფლიო ჩემპიონების რიგებში "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდის, **ხორხე გარბახოსას** გამოძახებაც. ამ კალათბურთელს ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, მაგრამ ახალ მწვრთნელს სჯერა, რომ გარბახოსა მოასწრებს საბრძოლო კონდიციების აღდგენას.

რენესესის გუნდში სამი დებიუტანტიცაა - **ვიქტორ კლავერა** ("პამესა"), **ხუან ხოსე ტრიუგერო** ("მურსია") და **ვიქტორ სადი** ("ხირონა"). ნაკრების დანარჩენი ცხრა წევრი კი, ყველასთვის კარგად არის ნაცნობი. ისინი მსოფლიო ჩემპიონები არიან: **ხოსე მანუელ კალდერონი, ხუან კარლოს ნავარო, რუდი ფერნანდესი, ალექს მუმბრუ, კარლოს ხიმენესი, პაუ გასოლი, ფელიპე რეიესი, მარკ გასოლი** და **ბერნი როდრიგესი**.

**გიორგი თვალია**

ოლიმპიზმი. ცურვა

# ახალი ეკიპირებით

სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ (FINA), რამდენიმე კომპანიის მიერ შექმნილი ახალი, ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით დამზადებული საცურაო ეკიპირებისთვის ლიცენზიები გასცა. ამგვარად, მათი გამოყენება პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იქნება შესაძლებელი.

აღნიშნულ საკითხს FINA-მ სპეციალური სხდომა მიუძღვნა, რომელზეც დადგინდა, რომ იტალიური "არენას", გერმანული "ადიდასისა" და იაპონური "მიძუნოს" ახალი ეკიპირება რეგლამენტს სრულად შეესაბამება და ის მოცურავეებს მეტოქეებთან საგრძნობ უპირატესობას ვერ მიანიჭებს.

ამგვარად, ბრიტანულ კომპანია "სპიდოს" ერთბაშად რამდენიმე კონკურენტი გამოუჩნდა და არაა გამორიცხული, რომ პეკინის ოლიმპიადაზე ეკიპირების მწარმოებელთა შორის კონკურენციის გამძაფრებამ, მსოფლიოს ახალი რეკორდების დამყარებას შეუწყოს ხელი.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონის დასაწყისში, "სპიდოს" სპეციალისტებმა NASA-ს მეცნიერებთან ერთად შექმნეს სრულიად ახალი საცურაო კოსტუმი "LZR რეისერი". მისი წყალობით, მოცურავეებმა სხვადასხვა ტურნირებზე მსოფლიოს 38 რეკორდი გააუმჯობესეს. რეკორდების უჩვეულო სიხშირემ, ცურვის სპეციალისტებს შორის საფუძვლიანი ეჭვი აღძრა - ხომ არ უწყობს ხელს "LZR რეისერი" მოცურავეების სისწრაფის ზრდას?

ეჭვი ეჭვად, მაგრამ FINA-მ "სპიდოს" ახალი ეკიპირება რეგისტრაციაში იქამდე გაატარა, სანამ პირველი რეკორდი დამყარდებოდა. ამიტომ, ამ საკითხზე ყოველგვარი მსჯელობა დაგვიანებული გამოდგა. ჰოდა, "სპიდოს" კონკურენტ კომპანიებს ისღა დარჩენოდათ, მათაც შეექმნათ მსგავსი ეკიპირება და ასე გაეწიათ მეტოქე კომპანიისთვის კონკურენცია.

იტალიის მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელმა **ალბერტო კასტანიეტიმ** "LZR რეისერს" ტექნოლოგიური დოპინგი უწოდა. ამერიკულმა კომპანია "TYR სპორტმა" კი "სპიდოს" სასამართლოში უჩივლა - ამერიკელები თავიანთ კონკურენტ კომპანიას მოცურავეების უსამართლოდ გადაბირებასა და მოსყიდვაში ადანაშაულებს. უფრო მეტიც, "TYR სპორტმა" ეჭვი გამოთქვა, რომ აშშ-ის ცურვის ფედერაცია ქვეყნის მოცურავეებს "LZR რეისერზე" გადასვლას და სხვა კომპანიებთან კონტრაქტების დარღვევასაც კი ურჩევს.



ალსანიშნავია, რომ პეკინის ოლიმპიადისთვის ახალი საცურაო კოსტუმების ვარგისიანად მიჩნევის ბოლო ვადა 30 ივნისია. რაც შეეხება ოლიმპიადას, ის სტარტს 8 აგვისტოს აიღებს და 24 აგვისტოს დასრულდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ბოონენს ტურზე არ უშვებენ

ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა სეზონის ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონზე ასპარეზობის უფლება ჩამოართვეს მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, თანმედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო სპრინტერს, ბელგიელ **ტომ ბოონენს**. ამავდროულად, რბოლაში მონაწილეობის უფლება მაინც ეძლევა მის გუნდ "ქვიკ სტეპს", რომელიც ამჟამად გენერალური სპონსორის ძიებაშია.




შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინათ, არასაშეჯიბრო ტესტმა ბოონენს სინჯში კოკაინის კვალი აღმოუჩინა. ბელგიის პროკურატურამ ბოონენის მიერ კოკაინის შენახვის ეჭვით, საქმე აღძრა. მართალია, ველომრბოლს არასაშეჯიბრო ტესტზე კოკაინზე ჩავარდნისთვის სერიოზული სასჯელი არ ემუქრება, მაგრამ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი დასჯას მაინც უპირებს.

თავად ბოონენმა, ვისაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება 2005 წელს აქვს მოპოვებული, შარშანდელ ტურზე კი საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა მოიგო, თავის ფანებს მომხდარის გამო ბოდიში მოუხადა.

ამგვარად, საფრანგეთის ტურზე, თანამედროვეობის მინიმუმ ორი ვარსკვლავი ვერ იასპარეზებს. ბოონენამდე, ტურიდან ფეხი მის შარშანდელ ჩემპიონს, ესპანელ **ალბერტო კონტადორს** ამოუკვეთეს, ვინც ახლახანს ჯიროს ჩემპიონი გახდა, მაგრამ იმის გამო, რომ დოპინგსკანდალებში არაერთხელ გარეულ ყაზახურ გუნდ "ასტანაში" ირიცხება, მას ტურზე არ უშვებენ. რბოლის ორგანიზატორები ამბობენ, რომ პირადად კონტადორის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ და მას დაუშვებენ, თუ სხვა გუნდის სახელით, ან დამოუკიდებლად იასპარეზებს.

*"ტომი ველოსპორტის ერთ-ერთი სახეა. ის სხვებისთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, ახლა კი ვგებულობთ, რომ კოკაინის მომხმარებელი ყოფილა. ჩვენ მას ვუთხარით, რომ ტურზე არ დავუშვებთ, თუ ამ დღეებში გავრცელებული ხმები დადასტურდება"*, - ამბობს ტურის დირექტორი **კრისტიან პრიუდმი** და დასძენს, რომ მართალია, ბოონენს კოკაინი მეტოქეებთან უპირატესობის მოსაპოვებლად არ მიუღია, მაგრამ ფაქტია, რომ აკრძალული საშუალება გამოიყენა.

შეგახსენებთ, რომ ბოონენს ტურზე რამდენიმე სპრინტერული ეტაპი აქვს მოგებული. ამ სეზონში ის პრესტიჟული პარიზი-რუბეს კლასიკური რბოლის გამარჯვებულია (სულ მეორედ მოიგო), რომლის ფინიშზეც ამ რბოლის შარშანდელი ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარა** დაამარცხა.

თავად ბოონენი უკვე შეურიგდა იმ ფაქტს, რომ ტურზე ასპარეზობას ვერ შეძლებს. არადა, სეზონის წინ აცხადებდა, რომ მისი მთავარი მიზანი ტურზე მწვანე მაისურის კვლავ მოპოვება იქნებოდა.

მსოფლიო დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტო კოკაინს სტიმულატორად აფასებს, მაგრამ მისი მიღებისთვის სპორტსმენი მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯება, თუ ტესტი კოკაინის კვალს ტურნირის მსვლელობისას აღმოაჩენს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

მძლეოსნობა. ვარსკვლავი

# ტერგატი დიდ ვაშლს უმიზნებს

კენიელი მორბენალი, მარათონულ დისტანციაზე მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **პოლ ტერგატი** პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას არ აპირებს და აცხადებს, რომ ამჟამად ნიუ იორკის მარათონისთვის ემზადება, რომელიც ნოემბერში ჩატარდება.




*"თავს კარგად ვგრძნობ, რადგან ჩემი ყველა ვალდებულება შევასრულე და ახლა მხოლოდ ვარჯიშზე ვარ კონცენტრირებული. რამდენიმე ტურნირზე გამოსვლას ვგეგმავ, მაგრამ მათ შორის ყველაზე მთავარი ნიუ იორკის მარათონია"*, - ამბობს 39 წლის კენიელი სუპერვარსკვლავი, ვინც მარათონის მსოფლიო რეკორდი 2003 წელს, ბერლინში დაამყარა, მაგრამ შარშან ის ლეგენდარულმა ეთიოპიელმა **ჰაილე გებრსელასიემ** მოუხსნა. სხვათა შორის, პეკინში მარათონულ დისტანციაზე არც გებრსელასიე აპირებს, თუმცა მას ალბათ, სარბენ ბილიკზე მაინც ვიხილავთ.

ბოლო მარათონი, რომელზეც ტერგატმა იასპარეზა, ლონდონის შარშანდელი მარათონი იყო, რომელზეც მან მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. მას შემდეგ კი არცერთ ტურნირზე არ უასპარეზია. შარშანვე ის ფუკუოკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას გეგმავდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, იქ ასპარეზობისგან თავი შეიკავა.

ნიუ იორკის მარათონი ტერგატმა 2005 წელს, დებიუტისთანავე მოიგო, მომდევნო სეზონში კი იქვე მესამე ადგილს დასჯერდა. პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლა თავადვე არ ისურვა და ამის მიზეზად ის გარემოება დაასახელა, რომ კენიელებს მის გარეშეც ბევრი ჰყავთ მორბენლები, რომლებსაც ოლიმპიური ოქროს მოპოვება შეუძლიათ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. სკანდალი

# მთელი NBA ჩაწყობილია?

## ტიმ დონაჰიმ ასოციაციის ხელმძღვანელობა ამხილა



სენსაციური გაგრძელება ჰპოვა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მსაჯის, **ტიმ დონაჰის** საქმემ. როგორც იცით, ეს არბიტრი ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებასა და ტოტალიზატორებზე მაქინაციებში მხილებული და მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. დონაჰიმ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ის ლიგის ხელმძღვანელობის პირდაპირი მითითებითა და ხელშეწყობით მოქმედებდა.

მსაჯმა გამოძიებას მოუყვა იმის შესახებ, რომ მსაჯებს აკრძალული აქვთ მეტოქე გუნდების ვარსკვლავი კალათბურთელების მოედნიდან გაძევება იმის გამო, რომ პლეი ოფის სერიებს სატელევიზიო რეიტინგი გარანტირებული ჰქონდეთ.

გარდა ამისა, ყოფილმა არბიტრმა გაიხსენა 2002 წლის პლეიოფი, რომლის მატჩებსაც ის თავადაც მსაჯობდა. დონაჰის სიტყვებით, NBA-ის ხელმძღვანელობამ "შეუკვეთა" შვიდმატჩიანი სერია, რომელშიც მეშვიდე მატჩის ბოლო წამებზე ერთ-ერთი გუნდი მოიპოვებდა გამარჯვებას. თანაც, სერიის გამარჯვებული აუცილებლად მდევრის როლში უნდა ყოფილიყო, ანუ მას სერია 2:3 ჩამორჩენის შემდეგ უნდა მოეგო.

2002 წლის პლეი ოფში მართლაც გაიმართა ასეთი სერია "ლოს ანჯელეს ლეიკერსსა" და "საკრამენტო კინგზს" შორის. "ლეიკერსმა" მეშვიდე მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა. დონაჰიმ აღნიშნა, რომ არბიტრები შეგნებულად "იგონებდნენ" ჯარიმებს "საკრამენტოს" კალათბურთელების წინააღმდეგ, რითაც ლოსანჯელესელებს სერიაში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს.

*"ამ დაპირისპირებაში ორი მსაჯი NBA-ის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა,* - ყვება დონაჰი. - *ლიგას აწყობდა, რომ სერია შვიდ მატჩამდე გაწელილიყო, ამიტომაც, მსაჯები ყველანაირად ეხმარებოდნენ "ლეიკერსს". სრულ იგნორირებას უკეთებდნენ მათ ჯარიმებს და დამატებით საჯარიმო ტყორცნებს იგონებდნენ მასპინძლებისთვის. აი ასე, გუნდმა, რომელიც სერიას 2:3 აგებდა, საბოლოოდ გამარჯვებული გახდა".*

დონაჰიმ 2005 წლის პლეი ოფიც გაიხსენა, კერძოდ კი, "დალას მავერიქსსა" და "ჰიუსტონ როკეტსს" შორის დაპირისპირება, სადაც მსაჯები მუდმივად "ტვირთავდნენ" ჯარიმებით "როკეტსის" ცენტრ **იაო მინს** და ამით, ხელოვნურად უნარჩუნებდნენ ინტრიგას მატჩებს.

*"მას შემდეგ, რაც "დალასმა" ორი სასტარტო შეხვედრა წააგო, კლუბის მფლობელმა არაობიექტური მსაჯობის გამო დაიჩივლა. ამის შემდეგ, სერიის მომსახურე არბიტრებს "ჰიუსტონის" ლიდერის, იაო მინის საჯარიმოებით "დატვირთვის" ინსტრუქცია მისცეს",* - აგრძელებს დონაჰი.

საბოლოოდ, მსაჯებმა ოთხ მომდევნო მატჩში ჩინელ ცენტრს 19 პერსონალური (თითქმის 5 ერთ მატჩში) გამოუწერეს, რის გამოც "ჰიუსტონის" მწვრთნელები იაოს ხშირად სათადარიგოთა სკამზე სვამდნენ. მაშინ, მსაჯების არაობიექტურობაზე პირველმა ხმა "ჰიუსტონის" მთავარმა მწვრთნელმა, **ჯეფ ვან განდიმ** ამოიღო და ის მაშინვე 100 ათასი დოლარით დასაჯეს.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი

# უიმბლდონი ფინალისტის გარეშე

...



დიდია ალბათობა იმისა, რომ 2008 წლის უიმბლდონმა შარშანდელი ტურნირის ფინალისტის, **მარიონ ბარტოლის** გარეშე ჩაიაროს. ფრანგი ჩოგბურთელის უიღბლო სეზონი ამ კვირას, ბირმინგემის ტურნირზე გაგრძელდა. ბარტოლიმ **პეტრა ჩოტკოვსკასთან** პირველი წრის მატჩი ისე წააგო, რომ ერთი გეიმიც ვერ დასტყუა მეტოქეს.

როგორც შემდეგ გაირკვა, ფრანგი საზარდულის ტრავმით იყო გასული კორტზე. *"დიახ, ტრავმამ არ მომცა სრული ძალით თამაშის საშუალება. პრობლემები ჯერ კიდევ საფრანგეთის ღია პირველობის წინ დამეწყო. ექიმები ბევრს ცდილობენ ჩემს დახმარებას, მაგრამ ჯერჯერობით, არაფერი გამოსდით",* - აცხადებს ბარტოლი.

ფრანგმა ისიც დაამატა, რომ თუ საქმე უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ის უიმბლდონს გამოტოვებს. *"ეს უდიდესი იმედგაცრუება იქნება ჩემთვის",* - თქვა მარიონმა.

ტრავმები აწუხებს კიდევ ერთ ფრანგ ჩოგბურთელს, მამაკაცთა შორის ქვეყნის პირველ ნომერ **რიშარ გასკეს**. ფეხის დაზიანების გამო, მან როლან გაროსი გამოტოვა და ახლა, იგივე ტრავმა გახდა იმის მიზეზი, რომ გასკე არც პეკინის ოლიმპიურ თამაშებში აპირებს მონაწილეობის მიღებს.

*"თავის მწვრთნელთან, გიიომ პეირთან შეთანხმების შემდეგ, რიშარმა გადაწყვიტა, არ გაემგზავროს პეკინის თამაშებზე",* - წერს ფრანგული გაზეთი "ეკიპი".

გასკემ ტრავმა ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ფეხი კვლავ აწუხებს, ფრანგმა უკვე დაიწყო ბალახის სეზონისთვის მზადება და ამ კვირას ლონდონის ტურნირში იღებს მონაწილეობას.

გია თვალაბეიშვილი

ჰოკეი

# ვეტერანები მიდიან



ლეგენდარული ჩეხი მეკარის **დომინიკ ჰაშეკის** შემდეგ, კარიერის დასრულება გადაწყვიტა ჰოკეის ეროვნული ლიგის კიდევ ერთმა ლეგენდამ, "ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდმა **ტრევორ ლინდენმა**. NHL-ში გატარებული 19 სეზონიდან, ლინდენმა 16 წელიწადი სწორედ "ვანკუვერს" შესწირა. დანარჩენი სამი წელიწადი, ის "მონრეალის", "ნიუ იორკ აილენდერსის" და "ვაშინგტონის" ღირსებას იცავდა.

ლინდენი ზუსტად 20 წლის წინათ, 1988 წელს, დრაფტში მეორე ნომრად აირჩია "ვანკუვერმა. 38 წლის ჰოკეისტმა კარიერაში 1382 მატჩი ჩაატარა, 375 შაიბა გაიტანა და 867 ქულა დააგროვა.

ლინდენმა კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება უცნაურ ადგილას, კერძოდ კი, დანტისტის სავარძელში მიიღო: *"რამდენიმე დღე ექიმთან დავდიოდი. კბილებს ვისვამდი და ვმკურნალობდი. სწორედ მაშინ მივხვდი, რა დღეში ჩამაგდო ყინულზე 20 წლინადი ყოფნამ. იმ მომენტში გადავწყვიტე, რომ მოედანზე აღარასოდეს გავიდოდი".*

...

ამ დღეებში, შესაძლოა, ლიგის კიდევ ერთმა ლეგენდარულმა მოთამაშემ დაასრულოს კარიერა. სავარაუდოდ, კვირის ბოლოს დიდ სპორტს დაემშვიდობება "კოლორადო ეველანშის" კაპიტანი **ჯო საკიკი**.

ისევე როგორც ლინდენი, საკიკსაც ლიგაში 19 სეზონი აქვს გატარებული. ბოლო პერიოდში, ფორვარდს ტრავმები აწუხებდა, რის გამოც წლევანდელ რეგულარულში მხოლოდ 44 მატჩი ჩაატარა და 40 ქულა (13 გოლი+27 პასი) დააგროვა.

გია თვალაბეიშვილი

# TV სპორტი

### 13 ივნისი. პარასკევი

#### რუსთავი 2

**19:30** ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი (LIVE).
**00:30** ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**10:00** საფეხბურთო კლუბი.
**10:45** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია.
**12:55** საფეხბურთო კლუბი.
**13:30** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი.
**15:40** საფეხბურთო კლუბი.
**16:35** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:50** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია.
**19:00** საფეხბურთო კლუბი.
**19:45** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი (LIVE).
**21:55** საფეხბურთო კლუბი.
**22:30** ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი (LIVE).
**00:40** საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:00** სპორტდოსიე. ბეისბოლი.
**07:25** სპორტის სამყარო.
**07:55** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ტურინი. იტალია.
**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**10:25** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია.
**12:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატლეტიკო-რეალი.
**14:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-პოლონეთი.
**16:05** ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მიმოხილვა.
**17:00** პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი (LIVE).
**18:00** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**18:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**20:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. იტალია-რუმინეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-საფრანგეთი (LIVE).
**00:45** ფეხბურთი. ევრო 2008.
**01:45** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**02:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ატლეტიკო-რეალი.
**04:45** სპორტდოსიე. ბეისბოლი.
**10:25** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია.

#### EUROSPORT

**10:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
**11:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**11:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-საფრანგეთი.
**13:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.
**15:30** ფეხბურთი. ევრო 2008.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. პრო ტური. კრიტერიუმ დოფინე ლიბერე. V ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
**18:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
**19:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:00** პოკერი.
**00:00** ექსტრემალური სპორტი.
**00:30** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი.
**01:00** ფეხბურთი. ევრო 2008.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-ხორვატია.

#### EUROSPORT-2

**09:00** ახალი ამბები.
**09:15** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.
**11:00** ახალი ამბები.
**12:00** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. რუმინეთი-საფრანგეთი.
**17:45** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. C ჯგუფი. ჰოლანდია-იტალია.
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** ექსტრემალური სპორტი.
**21:00** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. ზელანდია-ირლანდია. ბრიტანეთი.
**22:15** ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-იტალია. ბრიტანეთი.
**00:00** კიკ-ბოქსინგი.
**01:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
**01:45** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. ფინეთი-აშშ.
**02:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**02:45** ახალი ამბები.
**03:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**03:45** ახალი ამბები.
**04:30** ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
**04:45** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-ტურკუ | 4:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კპვ-ვიფკ | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-რომა | 92:81 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ჰალე** | |
| ლორდა-დარცისი | 7:6, 7:6 |
| ფედერერი-ვაჩეკი | 7:5, 6:3 |
| იუჟნი-კიფერი | 2:6, 7:5, 3:6 |
| ბაღდატისი-სანტორო | 6:4, 6:3 |
| **ATP. ლონდონი** | |
| კარლოვიჩი-გონსალესი | 6:3, 7:5 |
| როდიკი-ფიში | 7:6, 6:0 |
| ანჩიჩი-გასკე | 6:7, 4:6 |
| მარეი-გულბისი | 5:7, 6:1, 6:4 |
| ჰიუიტი-მატიო | 6:4, 6:4 |
| ნადალი-ნიშიკორი | 6:4, 3:6, 6:3 |
| ნალბანდიანი-მაუ | 6:4, 6:1 |
| ჯოკოვიჩი-ტიპსარევიჩი | 2:6, 6:1, 6:4 |
| **ATP. ვარშავა** | |
| მონტანიესი-ერნანდესი | 3:6, 2:6 |
| კ. როხუსი-ფონინი | 4:6, 0:6 |
| კანიასი-ვენტურა | 6:2, 1:6, 6:3 |
| რობრედო-ოდესნიკი | 6:4, 6:1 |
| **WTA. ბარსელონა** | |
| ივანოვა-კონდრატიევა | 1:6, 6:1, 7:5 |
| საფაროვა-პარა სანტონხა | 7:5, 4:6, 6:3 |
| ზაკოპალოვა-გალოვიტცი | 2:6, 0:6 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| ა. ბონდარენკო-რაო | 3:6, 7:5, 6:1 |
| ვიკმაიერი-კრაიჩეკი | 6:3, 6:4 |
| ერაკოვიჩი-შვედოვა | 6:3, 7:5 |
| ჩეტკოვსკა-პინი | 6:4, 6:7, 6:3 |
| ნაკამურა-საუთი | 6:2, 4:6, 4:6 |
| კ. ბონდარენკო-ჩინკი | 4:6, 6:4, 7:5 |
| ტანასუგარნი-მატეკი | 4:6, 2:6 |
| ვაიდიშოვა-მაკაროვა | 6:7, 6:2, 6:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი. ევრო 2008

# რვაწლიანი ტენდენცია

## ჰოლანდია ნახევარფინალში პენალტებით წააგებს, იტალია ფინალში გავა



ფეხბურთის სტატისტიკოსებმა ძალიან საინტერესო ტენდენცია აღმოაჩინეს, რომელშიც ჰოლანდიის ნაკრები და მოქმედი მსოფლიო ჩემპიონები ფიგურირებენ.

ევროპის ორ ჩემპიონატში, ჰოლანდია ჯგუფში ამარცხებდა მოქმედ მსოფლიო ჩემპიონს, გადიოდა ნახევარფინალში, სადაც პენალტების სერიაში მარცხდებოდა. ხოლო ნარინჯისფერთა ძლეული მსოფლიო ჩემპიონი კი, ფინალში თამაშის უფლებას იღებდა. ეს რვაწლიანი ინტერვალით მოხდა. გავიდა კიდევ რვა წელიწადი და ნარინჯისფერებმა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს მოუგეს... ვნახოთ, რა მოხდება ამჯერად.

**ევრო 1992**

**ჯგუფური ეტაპი**

**ჰოლანდია-გერმანია (მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი) 3:1**

**გოლები:** 1:0 რაიკაარდი (3), 2:0 ვიტჩგე (14), 2:1 კლინსმანი (53), 3:1 ბერგკამპი (72)
**ფინალი:** დანია-გერმანია
ჰოლანდია - ნახევარფინალში პენალტებით წააგო დანიასთან

**ევრო 2000**

**ჯგუფური ეტაპი**

**ჰოლანდია-საფრანგეთი (მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი) 3:2**

**გოლები:** 0:1 დუგარი (8), 1:1 კლუივერტი (14), 1:2 ტრეზეგე (31), 2:2 ფ. დე ბური (51), 3:2 ზენდენი (59)
**ფინალი:** იტალია-საფრანგეთი
ჰოლანდია - ნახევარფინალში პენალტებით წააგო იტალიასთან

**ევრო 2008**

**ჯგუფური ეტაპი**

**ჰოლანდია-იტალია (მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი) 3:0**

**გოლები:** 1:0 ვან ნისტელროი (26), 2:0 სნეიდერი (31), 3:0 ვან ბრონკჰორსტი (79)
**ფინალი:** იტალია-?
ჰოლანდია - ნახევარფინალში პენალტებით წააგებს?

სხვათა შორის, იტალიელების სამარცხვინო დამარცხებას გამოეხმაურა პოლონური ფეხბურთის ლეგენდა **ზბიგნევ ბონეკი**, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *"ჩემს პოლონელ მეგობრებს სანაძლეო დავუდე იმაზე, რომ იტალია ევროპის ჩემპიონი გახდება. გეთანხმებით, თამამი პროგნოზია, მაგრამ ეს შესაძლებელი იმ შემთხვევაში იქნება, თუ დონადონი სწორად შეარჩევს შემადგენლობას. შემდგომ მატჩებში დე როსიმ აუცილებლად უნდა ითამაშოს, ხოლო მატერაცი მოედანს არ უნდა გააკაროს".*

გია **თვალაბეიშვილი**



ფოტო-ინფო



ირლანდიის ნაკრების ფორვარდმა **რობი კინმა** 2008 წელს ფეხბურთელების საქორწინო სეზონი გახსნა. ორი დღის წინ, რობიმ ყოფილი მის ირლანდია, **კლაუდინ პალმერი** შეირთო ცოლად.



ხორვატების წყალობით, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს ნაადრევად დაეწყოთ შვებულება. "ჩელსის" მცველმა **ჯონ ტერიმ**, როგორც ჩანს, დაივიწყა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერგატანილი პენალტი და კუთვნილ არდადეგებზე დროს მხიარულად ატარებს.

ფეხბურთი. ევრო 2008

# ევროფანები





